საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

2025 წელი

წინასიტყვაობა

2025 წელს გააქტიურდა მსოფლიო წესრიგის ცვლილებისა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ფორმირების პროცესი. მნიშვნელოვნად გამძაფრდა გლობალურ აქტორებს შორის კონკურენცია, გამოიკვეთა ცალკეულ რეგიონებში არსებული ძალთა ბალანსის, სამხედრო-პოლიტიკური ალიანსებისა და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემების ტრანსფორმაციის ტენდენციები.

მსხვილი აქტორების მხრიდან გაიზარდა ძალისმიერი მიდგომებისა და მათ ხელთ არსებული ზეგავლენის სხვადასხვა ბერკეტის გამოყენებით საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის მცდელობები.

სერიოზული ცვლილებები განიცადა, ასევე, გეოპოლიტიკის ეკონომიკურმა განზომილებამ. საერთაშორისო ვაჭრობამ დაკარგა წმინდა ეკონომიკური მექანიზმის ფუნქცია. სავაჭრო ომებმა და პროტექციონიზმმა მსოფლიო ვაჭრობა გადააქცია სტრატეგიული ზეგავლენის ინსტრუმენტად.

დაჩქარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სატრანსპორტო-ლოგისტიკური მარშრუტების ტრანსფორმაციის პროცესი. საკვანძო მნიშვნელობა შეიძინა ცალკეულ კრიტიკულ რესურსებზე კონტროლის მოპოვებამ და ამ კუთხით სხვა სახელმწიფოებზე დამოკიდებულების შემცირებამ.

ინოვაციები, ახალი ტექნოლოგიები და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განვითარება გახდა სრულფასოვანი გეოპოლიტიკური რესურსი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო წესრიგზე.

სახელმწიფო, რომელიც აკონტროლებს მონაცემებს, ნახევარგამტარების წარმოებას, გამომთვლელ სიმძლავრეებსა და ალგორითმებს იძენს სტრატეგიულ უპირატესობას ეკონომიკაში, თავდაცვის სფეროსა და საგარეო პოლიტიკაში. შედეგად, საანგარიშო პერიოდში, სახეზე იყო ტექნოლოგიური სუვერენიტეტისა და უპირატესობის მოსაპოვებლად წამყვან ქვეყნებს შორის კონკურენციის გააქტიურების ნიშნები.

2025 წელს გამოვლენილი ტენდენციების ფონზე, მცირე ქვეყნებს უფრო მეტად გაურთულდათ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა, რადგან მძაფრი კონკურენციის პირობებში მსხვილი აქტორები, მათ შორის, ცდილობდნენ საკუთარი გავლენის ზონაში მოაზრებული ქვეყნებისთვის სუვერენული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობის შეზღუდვას, რისთვისაც ინტენსიურად გამოიყენებოდა სახელმწიფოს შიდა პროცესებში უხეში ჩარევის პრაქტიკა, ასევე ფიქსირდებოდა ამ მიმართულებით საერთაშორისო მექანიზმების ინსტრუმენტალიზაცია.

ამ ფონზე, კიდევ უფრო შემცირდა მცირე სახელმწიფოების მხრიდან საერთაშორისო სამართლის პრინციპების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მექანიზმების საფუძველზე საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

საანგარიშო პერიოდში, რთულად პროგნოზირებადი გლობალური პროცესების ფონზე, საქართველოს მიმართ შენარჩუნებული იყო შიდა და საგარეო საფრთხეების მაღალი დონე, ქვეყანაში დესტრუქციული პროცესების ინსპირირებისა და არასტაბილური გარემოს შექმნის ალბათობა. შესაბამისად, არსებული გამოწვევების პრევენციის მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს კომპლექსური ღონისძიებების გატარება უწევდა.

წარმოდგენილ ანგარიშში მიმოხილულია 2025 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოვლენილი საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებები, რამაც უზრუნველყო სახელმწიფო სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირება და ქვეყნის უსაფრთხო განვითარება.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახელმწიფოსთვის ეროვნული უსაფრთხოების კუთხით, ყველაზე დიდ საფრთხეს კვლავ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია წარმოადგენდა. ამ მიმართულებით სამსახურს მუდმივ რეჟიმში რეაგირება უწევდა ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა საოკუპაციო ძალის მიერ წარმოებული ანექსიისკენ მიმართული ღონისძიებები, უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი.

2025 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა აქტიურ საქმიანობას, ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეული შიდა თუ გარე აქტორების მიერ წარმოებული დესტრუქციული ღონისძიებების პრევენციის მიზნით. მათ შორის, გატარებული ღონისძიებების შედეგად აღკვეთილ იქნა ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობა.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კორუფციის, ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად, ამ მიმართულებებით საქართველო კვლავ წამყვან პოზიციებს ინარჩუნებს საერთაშორისო რეიტინგებში.

2025 წელს სამსახურის პრიორიტეტი იყო ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. საქართველოს უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მიღებულ იქნა დაზვერვის ფუნქციების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურაში გაერთიანების გადაწყვეტილება. შედეგად, 2025 წლის პირველი აგვისტოდან საქართველოს დაზვერვის სამსახური გარდაიქმნა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - დაზვერვის სააგენტოდ.

აღნიშნულმა ცვლილებამ ხელი შეუწყო საგარეო საფრთხეების იდენტიფიცირებისა და აღკვეთის მიმართულებით ძალისხმევის კონსოლიდაციას და მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვნად გაზრდას. გაუმჯობესდა შესაბამის საკითხებზე პასუხისმგებელ დანაყოფებს შორის კოორდინაცია და შესაძლებელი გახდა არსებული ძალებისა და საშუალებების უფრო მიზნობრივი გამოყენება. დაზვერვის სააგენტოს, როგორც დაზვერვის სამსახურის სამართალმემკვიდრეს, შეუნარჩუნდა ძირითადი უფლებამოსილებები და სტრუქტურა, რამაც ხელი შეუწყო სადაზვერვო საქმიანობის უწყვეტობას.

უსაფრთხოების გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სამსახური ორიენტირებული იყო საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და განმტკიცებაზე. 2025 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას შესაბამის სამსახურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოქმედებდა კანონის უზენაესობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, თანაზომიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპით.

სამსახურის მხრიდან მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი იყვნენ მაღალი სამუშაო სტანდარტებით, შრომის თანაბარი პირობებით და სარგებლობდნენ სათანადო სოციალური პაკეტით.

2025 წელს ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვნად გაზრდილი საფრთხეების გათვალისწინებით, მსურს, უწყების თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოსა და იმ ძალისხმევისთვის, რასაც ისინი ყოველდღიურად იჩენდნენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

მამუკა მდინარაძე

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი

სარჩევი

ოკუპირებული ტერიტორიები 7

ანექსიისკენ მიმართული პროცესები 8

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები 12

საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები 15

საერთაშორისო მექანიზმები 18

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა 19

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა 20

ჰიბრიდული საფრთხეები 22

დეზინფორმაცია და პროპაგანდა 22

ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები 27

კიბერუსაფრთხოება 30

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში გატარებული სხვა ღონისძიებები 31

სამსახურის სადაზვერვო საქმიანობა 36

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 37

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება 38

„დაეში“ („ისლამური სახელმწიფო“) 38

„ალ-კაიდა“ 39

„თალიბანი“ 39

„ჰეზბოლა“, „ჰამასი“ 40

საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა 40

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები 42

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება 42

სირიასა და ერაყში მყოფი „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა 43

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების ან/და უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება 44

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებისა ან/და მათთვის სხვაგვარი მხარდაჭერის გაწევის მცდელობა 45

ტერორისტული ორგანიზაციების წევრებისა და მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის ან/და საქართველოს მოქალაქეების შესაძლო გადაბირება, ტერორისტულ საქმიანობაში შესაძლო ჩართვა 46

დაწყებული გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტები 47

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია 47

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 47

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა...49
ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.....51
ანგარიშვალდებულება.....51
საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა.....53
პერსონალურ მონაცემთა დაცვა.....53
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.....54
საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია 55
საერთაშორისო თანამშრომლობა.....55
უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია.....59
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება 60
ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება.....60
სასწავლო ცენტრი.....61
მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები.....62

ოკუპირებული ტერიტორიები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევად კვლავ რჩებოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და მისი თანამდევი დესტრუქციული პროცესები. მათ შორის, აღსანიშნავია უკანონო მილიტარიზაცია და სამხედრო წვრთნები, რომლებიც რიგ შემთხვევაში უპილოტო საფრენი აპარატების ჩართულობით მიმდინარეობდა.

გასული წლების მსგავსად, გრძელდებოდა ჰიბრიდული ომის კომპონენტების გამოყენება, მათ შორის უკანონო დაკავებები და ე.წ. ბორდერიზაცია, რაც მიზნად ისახავდა ადგილზე არსებული ჰუმანიტარული და უსაფრთხოების გარემოს დაზიანებას.

მაღალი ინტენსივობით გაგრძელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისკენ მიმართული პროცესები. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით დაფიქსირდა ე.წ. საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენების მცდელობა. პარალელურად, კვლავ გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები ქართველების დისკრიმინაციისკენ მიმართული პოლიტიკა.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში რუსეთის პირდაპირი ჩართულობის გამო ანტირუსული განწყობების ზრდის დინამიკა დაფიქსირდა. ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში შენარჩუნდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის ფედერაცია განაგრძობდა ეფექტური კონტროლის განხორციელებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ადგილზე უკანონოდ განთავსებული საოკუპაციო ძალების მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზების, ასევე, უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (უფს) წარმომადგენლებს, ათეულობით სხვადასხვა მასშტაბის სწავლება ჩაუტარდათ. სწავლების ფარგლებში აქტიურად გამოიყენებოდა უპილოტო საფრენი აპარატები. ამასთან, 2025 წლის ბოლოს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში უპილოტო საფრენი აპარატების ე.წ. საწვრთნელი ცენტრი გაიხსნა, ხოლო ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარეობდა მუშაობა უპილოტო საფრენი აპარატების შექმნაზე.

ოკუპირებულ რეგიონებზე ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად რუსეთი იყენებდა ენერგეტიკულ, ფინანსურ თუ პოლიტიკურ ბერკეტებს.

აღნიშნულის საპირწონედ, მნიშვნელოვანი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მორიგი, 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“, რომელიც განგრძობადი ოკუპაციის პროცესს ეხება. შედეგად რუსეთს დაეკისრა საქართველოს 29 000-ზე მეტი დაზარალებული მოქალაქის სასარგებლოდ 253 018 000 ევროს ოდენობის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.

ანექსიისკენ მიმართული პროცესები

2025 წელს რუსეთის ფედერაციამ ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ მიმართული პროცესის მართვისთვის რიგი ცვლილებები განახორციელა.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის პოლიტიკის განხორციელება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველ მოადგილეს **სერგეი კირიენკოს** დაევალა. აღნიშნული, სავარაუდოდ, ოკუპირებულ აფხაზეთში 2024 წლის ნოემბერში გამართულ პირველ ანტირუსულ საპროტესტო გამოსვლებს და „აპარტამენტების" ე.წ. კანონისა და „რუსული იურიდიული პირების მიერ საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესახებ" ე.წ. შეთანხმების ჩავარდნამ განაპირობა. ასევე, ეს უკავშირდება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმის არაეფექტურობის გამო რუსეთის ხელისუფლებაში არსებულ უკმაყოფილებას.

კირიენკომ ოკუპირებულ რეგიონებში არსებული პროცესების კიდევ უფრო სიღრმისეული კონტროლი დაიწყო. საანგარიშო პერიოდში ის ოკუპირებულ რეგიონებში 9-ჯერ იმყოფებოდა (ოკუპირებულ აფხაზეთში - 7-ჯერ, ხოლო ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში - 2-ჯერ). იგი უშუალოდ ჩაერთო ყველა მიმდინარე ადგილობრივი პროცესის ფაქტობრივ თუ შინაარსობრივ მართვაში.

კირიენკოს პოლიტიკა არა მარტო პროცესების სრულად მართვას ისახავდა მიზნად, არამედ მოსახლეობის განწყობებსა და აღქმებში ანექსიისთვის ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებდა. აღნიშნული მიდგომით, მოსახლეობაში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა განცდა, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი არა ე.წ. პრეზიდენტი, არამედ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე იყო.

ოკუპირებული რეგიონების ახალი „კურატორის" საქმიანობაში ორი მნიშვნელოვანი მიმართულება გამოიკვეთა. ერთი მხრივ, რუსეთმა საოკუპაციო რეჟიმის მიმართ მხარდაჭერა სხვადასხვა სახით, მათ შორის ფინანსური დახმარებით გამოხატა, მეორე მხრივ კი, ანექსიური პროცესებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირთა მიმართ განაგრძო ზეწოლის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება. კერძოდ, ე.წ. ოპოზიციურად განწყობილი პირების, მათ შორის ჟურნალისტების წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ჩამოართვა რუსეთის მოქალაქეობა და უცხოეთის აგენტების რეესტრში შეიყვანა.

საოკუპაციო ძალამ სადამსჯელო ღონისძიებებით ისეთი პირების იზოლაცია სცადა, რომელთაც ანტირუსული განწყობების ხელშეწყობა და მოსახლეობაზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ.

გარდა ამისა, დაფიქსირდა რუსეთსა და ოკუპირებულ რეგიონს შორის საჰაერო, სარკინიგზო და საზღვაო „კავშირების" მიზანმიმართული ინტენსიფიკაციის ტენდენცია. გამოიყო თანხები რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდ. ფსოუს მონაკვეთზე ე.წ.

სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გაფართოებისთვის და როკის მონაკვეთზე ნიჟნი-ზარამაგის ე.წ. გამშვები პუნქტის რეკონსტრუქციისთვის.

საყურადღებოა ოკუპირებული ქ. სოხუმის ე.წ. აეროპორტის აღდგენის საკითხი, რაც ოკუპირებული რეგიონის კონტროლისთვის რუსეთის დამატებით ბერკეტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ გახსნის დღიდან, ოკუპირებული სოხუმის „აეროპორტის" აქტუალურობის შენარჩუნებას საოკუპაციო ძალა ხელოვნურად ცდილობდა, რაზეც რუსეთის მხრიდან ფრენების სუბსიდირებაც მიუთითებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მცდელობისა, საანგარიშო პერიოდში ე.წ. აეროპორტის ამოქმედებით საოკუპაციო რეჟიმს მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სარგებელი არ მიუღია.

ანექსიისთვის შესაბამისი საფუძვლის მომზადებას ემსახურებოდა ოკუპირებულ რეგიონებსა და რუსეთის სუბიექტებს შორის კავშირების ინტენსიფიკაციის მცდელობები. დაფიქსირდა არაერთი „ვიზიტი" რუსეთის ოლქებსა თუ რესპუბლიკებში და პირიქით. ასევე, ოკუპირებული რეგიონის წარმომადგენლები აქტიურად მართავდნენ კონსულტაციებს რუსეთის თანამდებობის პირებთან და დარგობრივ სამინისტროებში.

საყურადღებო იყო ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ „ორმაგ მოქალაქეებზე" რუსული მართვის მოწმობისა და შიდა პასპორტების გამარტივებული წესით[1], უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გაცემის გადაწყვეტილება. ამ მიზნით, ოკუპირებულ რეგიონებში, შესაბამის ე.წ. უწყებებში მუშაობა რუსეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებმა დაიწყეს.

აღნიშნული გადაწყეტილება, სხვა მიდგომების მსგავსად, ანექსიისთვის საფუძვლის მომზადების ჭრილშია განსახილველი, რადგან ამ ქმედებით, ოკუპირებული რეგიონები ფაქტობრივად, რუსეთის სუბიექტებს გაუთანაბრდა, ხოლო საოკუპაციო რეჟიმის მიერ გაცემულმა ე.წ. დოკუმენტებმა პრაქტიკული მნიშვნელობა, ფაქტობრივად, დაკარგა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში კიდევ ერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოკუპირებული ოჩამჩირის ე.წ. პორტში რუსეთის შავი ზღვის ფლოტისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პუნქტი აშენდება. მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, იქ სამხედრო-საზღვაო ფლოტის „მუდმივი ბაზირების პუნქტი" უნდა შექმნილიყო.

საოკუპაციო ძალა, ტრადიციულად, ცდილობდა, პუნქტის განთავსება ადგილობრივი მოსახლეობისთვის „უსაფრთხოების დამატებით გარანტიად" წარმოეჩინა. დაფიქსირდა ოკუპირებული ოჩამჩირის „რკინიგზის სადგურზე" მისასვლელი ლიანდაგების კონკრეტული სეგმენტის შეკეთების სამუშაოები.

[1] რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად საჭირო აღარ იქნება რუსეთში მუდმივად ცხოვრება, რუსული ენისა და რუსეთის ისტორიის ცოდნა, ხოლო მართვის მოწმობის ასაღებად - გამოცდების ჩაბარება.

ოკუპირებული ოჩამჩირის ე.წ. პორტში მიმდინარე პროცესი ამ ეტაპზე, სავარაუდოდ წარმოადგენს ე.წ. საკონტეინერო გადაზიდვის ტერმინალის ფუნქციონირების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობას.

ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „რუსიფიკაციის" პოლიტიკას ატარებდა და ამ მიზნით სხვადასხვა „საგანმანათლებლო პროექტს" იყენებდა.

ინტენსიურად ფუნქციონირებდა რუსული „ღია განათლების ცენტრები" და „როსსოტრუდნიჩესტვოს" ადგილობრივი ე.წ. ფილიალები. აქტიურობით გამოირჩეოდა რუსეთის სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ საგანმანათლებლო დაწესებულება. ე.წ. საგანმანათლებლო პროექტები უმეტესად გათვლილი იყო ძირითადად ქართველებით დასახლებულ ოკუპირებულ ახალგორსა და გალის რაიონებზე.

ჩატარდა აქტივობები, რომლებიც ადგილობრივ ახალგაზრდებში პოპულარიზაციას უწევდა რუსულ ახალგაზრდულ პროექტებს, „კვალიფიკაციის ამაღლების" კურსებსა და რუსეთში განათლების მიღების პერსპექტივებს. განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე „თანამშრომლობის" შესახებ გაფორმდა ე.წ. შეთანხმებები.

ოკუპირებული რეგიონების ე.წ. განათლების სამინისტრომ და ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა აქტიურად ითანამშრომლეს რუსეთის იდეოლოგიური ნარატივების გამტარ პლატფორმასთან, რუსულ საზოგადოებრივ ორგანიზაცია „ცოდნასთან". იმავდროულად ოკუპირებულ აფხაზეთში შეიქმნა მისი ე.წ. წარმომადგენლობაც და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე გაიხსნა „მსოფლიო ახალგაზრდული ფესტივალის დირექტორატისა" და „საზოგადოებრივი დიპლომატიის ცენტრის" ფილიალები.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე ანექსიური პოლიტიკისა და რუსიფიკაციის ფონზე, საოკუპაციო ძალამ გაზარდა ზეწოლა ოკუპირებულ გალში მცხოვრებ ქართველ პედაგოგებზე. გავრცელდა ცნობები მათი საქმიანობისა და პირადი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მცდელობებთან დაკავშირებით. დაფიქსირდა „ჯაშუშობის" გამოგონილი ბრალდებით უკანონო დაკავების ფაქტიც. ზეწოლის გასაზრდელად გამოიყენებოდა სოციალური ქსელებიც, სადაც ნეგატიურ კონტექსტში იყო აღნიშნული, რომ ზოგიერთი მასწავლებელი და სკოლის დირექტორი გალელებს მშობლიურ ენაზე სწავლების შესაძლებლობას აძლევს.

რუსეთის მიზანს ადგილობრივი ახალგაზრდების, მათ შორის ქართველების, ენობრივი, კულტურული და იდეოლოგიური ასიმილაცია და მათი იდენტობის შეცვლა წარმოადგენს.

ამავე კონტექსტში, საყურადღებოა, რომ საოკუპაციო ძალამ ოკუპირებულ აფხაზეთში კიდევ ერთი ახალგაზრდული პროექტი, „აფხაზეთის ახალი მედია" დააინიცირა. იგი რუსული

პროგრამა „ახალი მედიის სახელოსნოს“ ასლს წარმოადგენდა. პროექტის მიზნად ადგილობრივი ე.წ. ჟურნალისტებისა და ბლოგერებისთვის ახალი „მედიაპლატფორმების“ შექმნა დასახელდა.

ასევე, „მედიასკოლის“ ფარგლებში ოკუპირებულ რეგიონში რუსმა სპეციალისტებმა სხვადასხვა ტრენინგი ჩაატარეს.

მედიაპროექტი რუსეთის ანექსიური პოლიტიკის ნაწილია, რომელიც ოკუპირებული რეგიონის ე.წ. საინფორმაციო სივრცეზე სრული გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. აღნიშნულ რესურსს საოკუპაციო ძალა სოციალურ სივრცეში დეზინფორმაციისა და პროპაგანდისტული ნარატივის გასავრცელებლად იყენებდა.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ფიქსირდებოდა ანექსიისკენ მიმართული განცხადებები და აქტივობები როგორც რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნების, ისე საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან. დაფიქსირდა მსჯელობები ე.წ. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, „ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების“, ე.წ. ორმაგი მოქალაქეობისა და სხვა საკითხებზე.

ამ მიმართულებით, ასევე, საყურადღებო იყო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის „სამოკავშირეო სახელმწიფოში ინტეგრაციის“ საკითხის გააქტიურება რუსეთის სახელმწიფო დუმის ტრიბუნებიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენელმა, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის მზაობა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

საოკუპაციო ძალა აქტიურად იყენებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს თბილისზე ზეწოლის ინსტრუმენტად და პარალელურად ამზადებს საფუძველს, ხელსაყრელ დროს, ანექსიის განსახორციელებლად.

ანექსიური პროცესების ნაწილად არის განსახილველი რუსეთის ეროვნულ გვარდიასთან („როსგვარდია“) „თანამშრომლობის შესახებ“ ე.წ. შეთანხმების დადება. ე.წ. დოკუმენტი ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებას, მათ შორის, „ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან“ ბრძოლის მიმართულებით[2], საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.

აღნიშნული „შეთანხმება“ რუსეთს ადგილზე მოქმედების არეალს კიდევ უფრო უფართოებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ოკუპირებული რეგიონის ე.წ. შიდაპოლიტიკურ პროცესებში რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების პირდაპირი მონაწილეობა. აღნიშნული რუსეთისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება ადგილზე სრული კონტროლის დასამყარებლად.

[2] ანალოგიური ე.წ. შეთანხმების ხელმოწერა 2024 წლის თებერვალში ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შსს-სთან იგეგმებოდა, თუმცა, ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილისა და ე.წ. ოპოზიციური ძალების მწვავე რეაქციის გათვალისწინებით, საოკუპაციო რეჟიმმა „დოკუმენტის“ ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის 2025 წლის ე.წ. ბიუჯეტმა დაახლოებით 118,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რომლის დაახლოებით 80% (დაახლოებით 94,7 მილიონი აშშ დოლარი) რუსულ ტრანშს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ოკუპირებულ აფხაზეთს, ე.წ. ბიუჯეტი დაახლოებით 252 მილიონ აშშ დოლარს წარმოადგენდა, რომლის 38% (დაახლოებით 97 მილიონი აშშ დოლარი) რუსეთმა დააფინანსა.

საანგარიშო პერიოდში შენარჩუნდა ოკუპირებული რეგიონების მაღალი ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე, რაც ზემოქმედებისა და კონტროლის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს და ასევე ანექსიურ ჭრილშია განსახილველი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთში ორი, „ვადამდელი საპრეზიდენტო“ და „თვითმმართველობის“ ე.წ. არჩევნები გაიმართა. ორივე შემთხვევაში დაფიქსირდა პროცესებში აშკარა რუსული ინტერვენცია, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია და ანექსიური „დოკუმენტების“ გამო დაწყებული კრიზისი გააღრმავა.

2025 წლის დასაწყისში გამართულ ე.წ. ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე ძირითადი დაპირისპირება ე.წ. პროსახელისუფლებო კანდიდატ **ბადრა გუნბასა** და ე.წ. ოპოზიციონერ **ადგურ არძინბას** შორის მიმდინარეობდა. **ბადრა გუნბას** მხარი ღიად დაუჭირა რუსეთმა. მაგალითად, ე.წ. სადამსჯელო ღონისძიებების შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ ელექტროენერგიის მიწოდება ოკუპირებული რეგიონისთვის მხოლოდ ე.წ. პრეზიდენტის მოვალობის შემსრულებლის **გუნბას** წერილობითი მიმართვის შემდეგ აღადგინა (მანამდე რუსეთს ე.წ. პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა **ვალერი ბგანბამაც** მიმართა, თუმცა რუსეთის ფედერაციას მის თხოვნაზე არ უპასუხია). ე.წ. წინასაარჩევნო პერიოდში იგი, ასევე, აქტიურად მართავდა შეხვედრებს რუს მაღალჩინოსნებთან ქ. მოსკოვში, რომლებიც მის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთდებდნენ. რუსი „სოციოლოგები“ ოკუპირებულ რეგიონში ატარებდნენ გამოკითხვებს, რომლებშიც **გუნბა** დამაჯერებლად „იმარჯვებდა“ და სხვა.

გუნბას მიმართ რუსეთის მიერ გამოხატული კეთილგანწყობის ფონზე, აქტიურად მიმდინარეობდა ე.წ. ოპოზიციის მადისკრედიტირებელი კამპანია. რუსულ მედიაში გამოქვეყნდა ათეულობით სტატია და სიუჟეტი, რომლებშიც ოკუპირებული რეგიონი რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული ინტერესის დაპირისპირების არეალად იყო წარმოჩენილი და ე.წ. ოპოზიციონერი ლიდერის „პროთურქულობას“ ამტკიცებდა. ამასთან, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა სიძულვილის გაღვივებისა და ძალადობის გამოყენების საფრთხის ფაქტზე **არძინბას** გარემოცვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა.

აღნიშნული ნაბიჯი არა მხოლოდ **არძინბას,** არამედ ე.წ. ოპოზიციურად განწყობილ პირთა დაშინების მცდელობას წარმოადგენდა.

რუსეთის ქმედებებმა, მათ შორის, ე.წ. ოპოზიციის დისკრედიტაციამ, ანტირუსულ, ანტისომხურ და პროთურქულ განწყობებში „ოპოზიციის“ დადანაშაულებამ მისი მნიშვნელოვნად დასუსტება განაპირობა.

ე.წ. არჩევნების პირველ და მეორე ტურებში გუნბას მიმართ რუსეთის აშკარა მხარდაჭერამ და ე.წ. ოპოზიციონერების წინააღმდეგ რუსეთის მიერ სხვადასხვა, მათ შორის ტერორიზმის მუხლით საქმეების აღძვრამ, ადგურ არძინბა იძულებული გახადა დამარცხება ეღიარებინა და „პოლიტიკური ველიდან“ გამქრალიყო.

ე.წ. თვითმმართველობის არჩევნებამდე, რომელიც 2025 წლის ნოემბერში გაიმართა, მნიშვნელოვანი „პოლიტიკური“ აქტივობები ან/და განცხადებები, პრაქტიკულად, არ დაფიქსირებულა. „დღის წესრიგს“ სრულად ქმნიდა რუსეთთან „ურთიერთობების“ საკითხები.

ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ფაქტობრივად, ე.წ. ოპოზიციური სპექტრის მონაწილეობის გარეშე გაიმართა, რაც, მაღალი ალბათობით, ზემოაღნიშნული რეპრესიების შედეგებით იყო განპირობებული. ე.წ. არჩევნებზე სულ 4 „პოლიტიკური პარტია“ მონაწილებდა, მათგან ე.წ. ოპოზიციურს მხოლოდ ერთი წარმოადგენდა.

ე.წ. წინასაარჩევნო პერიოდში დიდი რეზონანსი გამოიწვია „პროცესში“ რუსი პოლიტტექნოლოგების ჩართულობამ. ისინი ოკუპირებულ რეგიონში ღიად ეწეოდნენ საოკუპაციო რეჟიმის მხარდამჭერ საქმიანობას: მათ შორის, გამოსცემდნენ „გაზეთს“, ატარებდნენ გამოკითხვებს და ა.შ. მათი საქმიანობა და ოფისი ე.წ. ოპოზიციურად განწყობილმა პირებმა, ე.წ. მედიის თანხლებით, გამოავლინეს.

საყურადღებოა, რომ 24 ნოემბერს საოკუპაციო ძალამ რუს პოლიტტექნოლოგებზე „თავდასხმის ეპიზოდზე“ ე.წ. ოპოზიციურად განწყობილი 15 პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. აღნიშნული შემთხვევა რუსეთმა გამოიყენა ოკუპირებულ აფხაზეთში დარჩენილი ე.წ. ოპოზიციურად განწყობილი პირების სრული დისკრედიტაციისთვის.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საყურადღებო მოვლენას „პირველი საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის“ ჩატარება წარმოადგენდა, რომელსაც რუსეთიდან ჩასული სტუმრები დაესწრნენ. გაკეთდა განცხადებები, რომ ოკუპირებული რეგიონის „მდგრადი განვითარება“ მხოლოდ რუსულ სივრცეში „სიღრმისეული ინტეგრაციის“ ფარგლებში იყო შესაძლებელი. ხაზი გაესვა „საბაჟო კანონმდებლობის სრული ინტეგრაციის“ საჭიროებას. დაანონსდა არაერთი „ბიზნესპროექტი“, თუმცა კონკრეტული ნაბიჯები არცერთი მიმართულებით არ გადადგმულა.

გასათვალისწინებელია, რომ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს „დამოუკიდებლად არსებობისა“ და „ეკონომიკის შექმნის“ პოტენციალი არ გააჩნია. რეალურად, ოკუპაციის გამო, ადგილზე მწვავედ იდგა ფინანსური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით „ხელფასებისა და სოციალური შემწეობების“ გაცემის კუთხით.

აქვე აღსანიშნავია, რომ შემოდგომაზე ოკუპირებულ სოფელ ღრომში შეწყდა ნავთობის გეოლოგიური-საძიებო სამუშაოები, რომლის ბაზაზეც ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა იყო დაგეგმილი.

განსაკუთრებით პრობლემური იყო ე.წ. ჯანდაცვის სექტორი, სადაც გარდა ფინანსური პრობლემებისა, მწვავედ იდგა კადრების დეფიციტის საკითხი.

საანგარიშო პერიოდში ვრცელდებოდა სხვადასხვა ინფორმაცია, რომლებიც ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში არსებულ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ადასტურებდა. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებული რეგიონი 2 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა, ე.წ. ინდივიდუალური მეწარმეების რაოდენობა თითქმის სამჯერ შემცირდა, გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც ე.წ. მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ „განცხადებები“ წარადგინეს (აღნიშნული განცხადებები, როგორც წესი, რუსეთში მუშაობის დაწყებისთვის არის საჭირო).

აქტიურად ვრცელდებოდა ცნობები დემოგრაფიული კრიზისის შესახებ. მათ შორის, ბოლო წლებში, მიგრაციის გამო ბევრი ოკუპირებული სოფლის სკოლა დაიხურა, ხოლო პირველკლასელების რაოდენობა სტაბილურად მცირდება.

ოკუპირებული რეგიონიდან მოსახლეობის გადინების რეალურ მიზეზებს რუსული ოკუპაცია და აღნიშნულის გამო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის იძულებითი გადაადგილება წარმოადგენს. ადგილზე არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს საოკუპაციო ხაზზე გადაადგილების აკრძალვა, რაც ოკუპირებული რეგიონის პროდუქციით მომარაგებას შესაძლებელს მხოლოდ რუსეთის ფედერაციიდან ხდის.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დაფიქსირდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული პოზიციის გამო, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასა და უსაფრთხოების გარემოს მონიტორინგზე მუშაობენ, ვერ ახერხებდნენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას ან/და სრულფასოვან ფუნქციონირებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი, სადაც მოქმედებს ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), მხოლოდ ჰუმანიტარული მიმართულებით.

საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები

საანგარიშო პერიოდში საოკუპაციო ძალის მხრიდან გაგრძელდა ქართველების შევიწროების, საოკუპაციო ხაზით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის კონტაქტების გაწყვეტისა და მათი რუსიფიკაციისკენ მიმართული მცდელობები.

საოკუპაციო რეჟიმმა ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით „ჯაშუშობის" გამოგონილი ბრალდებით უკანონოდ დააკავა **შალვა ხიზანიშვილი,** ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - სამოქალაქო აქტივისტი **თამილა მეარაყიშვილი**, რომელიც უკანონო დაკავებიდან 8 დღის შემდეგ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე „გამოაძევეს".

2025 წლის განმავლობაში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით იდენტიფიცირდა უკანონოდ დაკავების 34, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 40 შემთხვევა. ორივე მიმართულებაზე გაგრძელდა ე.წ. ბრალის ხელოვნურად დამძიმების პრაქტიკა, სხვადასხვა გამოგონილი ბრალდებით, მათ შორის „ჯაშუშობის", ე.წ. კონტრაბანდის, ნარკოტიკული ნივთიერების ფლობისა და სხვა.

2025 წლის დასასრულს უკანონო პატიმრობაში, საერთო ჯამში, საქართველოს 15 მოქალაქე იმყოფებოდა, მათ შორის ის მოქალაქეებიც, რომლებსაც თავისუფლება უკანონოდ რამდენიმე წლით აღუკვეთეს, კერძოდ, **ქრისტინე თაკალანძე** და **კახა მურადოვი**. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად, გრძელვადიანი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდნენ **ირაკლი ბებუა, ივანე ლუტიძე** და **ნიკა მამასტარაშვილი.**

საოკუპაციო ძალა მიზანმიმართულად ცდილობს უკანონო დაკავებების მანკიერი პრაქტიკა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის ინსტრუმენტად გამოიყენოს. აღნიშნული მოცემულობა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უხეში დარღვევის ფონზე ხდება. მიუხედავად გამოწვევებისა, მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქის გასათავისუფლებლად, ყველა შესაძლო მექანიზმის გამოყენებით.

ასევე, გაგრძელდა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების არასათანადო გამოძიების პრაქტიკა. რუსეთი კვლავ უარს აცხადებდა საოკუპაციო ძალის მიერ 2023 წლის ნოემბერში მოკლული **თამაზ გინტურის** საკითხის ობიექტური გამოძიების ჩატარებაზე, რის გამოც დამნაშავ(ეებ)ის დასჯა ვერ მოხერხდა.

ფაქტობრივად, დაუსჯელები დარჩნენ ოკუპირებული გალის „დროებითი მოთავსების იზოლატორში" მიღებული ფიზიკური დაზიანებების გამო გარდაცვლილი **ვიტალი (თემურ) კარბაიას** საკითხში „ეჭვმიტანილი" პირები, რომლებსაც დანაშაულებრივი ქმედება „სამსახურებრივ გულგრილობაში" ჩაუთვალეს.

საოკუპაციო რეჟიმების უკანონო პატიმრობაში დაღუპული **ირაკლი კვარაცხელიასა** და **დავით ბაშარულის,** ასევე, საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული **არჩილ ტატუნაშვილისა** და **გიგა ოთხოზორიას** საქმეების მიმართ ადგილზე სამართლის აღსრულება კვლავ შეუძლებელი იყო.

ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი დანაშაულების უგულებელყოფა ოკუპირებულ რეგიონებში დაუსჯელობის სინდრომს ქმნის და ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს ახალისებს. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღნიშნული შემთხვევები დეტალურად და სრული სიმძიმით განიხილა ყველა საერთაშორისო ფორმატსა თუ ორმხრივ შეხვედრაზე.

საანგარიშო პერიოდში კვლავ მიმდინარეობდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, რომელიც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის პირდაპირ შედეგს და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თანამდევ, უმძიმეს პროცესს წარმოადგენს.

რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლები საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესს სხვადასხვა ადგილას და განსხვავებული ინტენსივობით ახორციელებდნენ.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის 3 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 55. დაფიქსირდა სხვადასხვა ხელოვნური ბარიერის, ღობეების, მავთულხლართების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაცია, ასევე, მიწათხრილების, ტრანშეებისა და ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების მოწყობის სამუშაოები. გასული წლების მსგავსად, გამოვლინდა საოკუპაციო ხაზზე სათვალთვალო კამერებისა და გადაადგილების დეტექტორების დაყენების ფაქტებიც.

უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესითა და ადგილზე განხორციელებული სხვა დესტრუქციული ქმედებებით, საოკუპაციო ძალა ზეწოლას ახდენდა თბილისზე და ოკუპირებული რეგიონებისა და მათ ირგვლივ მიმდინარე უკანონო პროცესების ლეგიტიმურად წარმოჩენას ცდილობდა. აგრეთვე, ვრცელდებოდა დეზინფორმაციული ნარატივები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების აგრესორად წარმოჩენისა და მისგან მომდინარე „საფრთხეებთან“ დაკავშირებით.

საოკუპაციო ხაზზე კვლავ მოქმედებდა რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ უკანონოდ აღმართული ე.წ. გადასასვლელი პუნქტები, რაც საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პირდაპირ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მათი სელექციური მუშაობა და პერიოდულად ხანგრძლივი დახურვა ამ მიმართულებით არსებულ ვითარებას და შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფას კიდევ უფრო აუარესებდა.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით თავისუფალი გადაადგილების მხრივ არსებული ვითარება არ გაუმჯობესებულა. 2024 წლის მსგავსად, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტები კვლავ თვეში 10 დღის განმავლობაში იყო ხელმისაწვდომი. ორივე მიმართულებით, ე.წ. პუნქტებზე მოძრაობის შესაძლებლობა მოსახლეობის მცირე სეგმენტზე, მხოლოდ ე.წ. ნებართვის მქონე პირებზე იყო გავრცელებული.

საოკუპაციო ძალა განაგრძობდა ჰუმანიტარული საკითხებით მანიპულაციას, რათა ზეწოლა მოეხდინა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ამ გზით დათმობებზე წასვლა ეიძულებინა. აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო ძალის ეს დესტრუქციული მიდგომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევებს განაპირობებდა და ამძიმებდა ისედაც კომპლექსურ ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების გარემოს.

აღსანიშნავია, რომ დესტრუქციული აქტივობები დეზინფორმაციის აგრესიული კამპანიის ფონზე მიმდინარეობდა, რომელიც გამოიყენებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაზე ზემოქმედების მიზნით, არამედ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად.

საოკუპაციო ძალა აქტიურად ცდილობდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის „მხარედ" რუსეთის ნაცვლად საოკუპაციო რეჟიმები წარმოეჩინა, რასაც, მათ შორის, ე.წ. დელიმიტაცია-დემარკაციისა და „ძალის გამოუყენებლობის შესახებ" ე.წ. შეთანხმების ხელმოწერაზე პედალირებით ცდილობდა. პარალელურად, საოკუპაციო ძალა ცდილობდა, ქართველებისგან „მტრის ხატი" შეექმნა და გამოგონილ საფრთხეებზე სპეკულირებით ხელი შეეშალა ნდობის აღდგენის პროცესისთვის.

გარადა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დაანონსდა „სარესტავრაციო სამუშაოები", რომლებიც რუსი „ექსპერტების" ჩართულობით უნდა განხორციელდეს. საუბარია ოკუპირებულ ახალგორში არსებულ ქსნის ერისთავების სახლ-მუზეუმზე, ასევე, ოკუპირებულ სოფელ მოქვსა და ახალ ათონში მდებარე უძველეს ტაძრებზე.

რუსი „ექსპერტების" ჩართულობით განხორციელებული ე.წ. სარესტავრაციო პროექტები მიზნად ისახავს ქართული კულტურის კვალის წაშლას და ისტორიის გაყალბებას. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ხსენებული ნაგებობების იერსახე მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

საყურადღებოა, რომ ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე, საოკუპაციო ძალა განაგრძობდა სპეკულირებას საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „სატრანზიტო დერეფნად" გამოყენების საკითხით. სოციალურ ქსელებში გარკვეული პირთა წრის მიერ მიზანმიმართულად ვრცელდებოდა ცნობები ოკუპირებულ გალის რაიონში „სატრანზიტო

ჰაბის“ მშენებლობისა და ამოქმედების ე.წ. გეგმების შესახებ. სპეკულაციები გაგრძელდა, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მკაფიოდ უარყო ოკუპირებული რეგიონების გავლით ე.წ. ტრანზიტული მოძრაობის პერსპექტივა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან წასული პირები განაგრძობდნენ უკანონო მონაწილეობას რუსეთ-უკრაინის ომში. დაფიქსირდა სხვადასხვა ტიპის უკანონო აქტივობა რუსეთის მიერ ანექსირებულ უკრაინის რეგიონებთან, მათ შორის გარკვეული ინვენტარის გაგზავნის კუთხითაც.

ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით, რუსეთის ფედერაცია მიზნად ისახავდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლას ადგილზე ვითარების დესტაბილიზაციის, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. ლეგიტიმაციის მცდელობით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათ მიმდებარედ მცხოვრები პირების უფლებების უხეში დარღვევებით, საოკუპაციო ხაზით გაყოფილი საზოგადოების გაუცხოებით.

საერთაშორისო მექანიზმები

საანგარიშო პერიოდში საოკუპაციო ძალა, ერთი მხრივ, საუბრობდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ფორმატის მეშვეობით მიღწეულ სტაბილურობაზე, ხოლო მეორე მხრივ - ფორმატის დაზიანების მიზნით მის სხვა ლოკაციაზე გადატანას ითხოვდა. რუსეთის ფედერაციის მიზანია, ლოკაციის ცვლილებით მოლაპარაკების ფორმატის ცვლილებას მიაღწიოს.

2025 წელს ჟენევის ფორმატის სამი შეხვედრა ჩატარდა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, მანდატის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო **თამაზ გინტურისა** და **ვიტალი კარბაიას** მკვლელობის საკითხებს, მოითხოვა სამართლის აღსრულება და დამნაშავეების დასჯა. განხილვის საკითხებს, მათ შორის, წარმოადგენდა უკანონოდ დაკავებულ პირთა გათავისუფლება და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის შემთხვევები.
ოკუპაციიდან მომდინარე საფრთხეები და გამოწვევები დეტალურად განიხილებოდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით IPRM-ის 7 შეხვედრა გაიმართა. ასევე, ჩატარდა ორი ე.წ. ტექნიკური შეხვედრა. საოკუპაციო ძალა, ტრადიციულად, ცდილობდა, წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების რაოდენობა კიდევ უფრო შეემცირებინა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები გამართულ შეხვედრებზე დეტალურად განიხილავდნენ ყველა ინციდენტს, ითხოვდნენ უკანონოდ დაკავებული

პირების უპირობო და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, აპელირებდნენ ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესის დამაზიანებელ შედეგებზე. ამასთან, განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებდნენ გადაადგილების თავისუფლების ხელმისაწვდომობასა და სხვა ჰუმანიტარულ საკითხებზე.

გასული წლების მსგავსად, საოკუპაციო ძალა ფორმალურად გამოთქვამდა მზაობას ოკუპირებულ გალში IPRM-ის შეხვედრების აღდგენასთან დაკავშირებით. თუმცა, რეალურად, მათი მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არათუ არ გადადგმულა, კვლავ ფიქსირდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური შინაარსის წინაპირობები.

აღსანიშნავია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მეშვეობით მოქმედი „ცხელი ხაზის" მნიშვნელობა საოკუპაციო ხაზზე, ისევე როგორც მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ინციდენტზე რეაგირებისას. საანგარიშო პერიოდში „ცხელი ხაზი" 1 960-ჯერ გააქტიურდა: 1 657-ჯერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის, ხოლო 303-ჯერ - ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით.

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგების მონიტორინგის განმახორციელებელ ერთადერთ ორგანიზაციასთან, რომელიც ადგილზე მიმდინარე პროცესებში ევროკავშირის ინფორმირებულობისა და ჩართულობის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალის გადაწყვეტილებით, მისია ვერ ახერხებდა მანდატის სრულად განხორციელებას, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მონიტორინგს ითვალისწინებს. საანგარიშო პერიოდში EUMM-ის საქმიანობის შემდგომი პარალიზების არაერთი მცდელობა დაფიქსირდა. არსებული ვითარების მონიტორინგის ფარგლებში საოკუპაციო ხაზთან მიახლოების გამო, მისიის მიმართ ბრალდებები და მუქარები საოკუპაციო რეჟიმმა მრავალჯერ გააჟღერა. აღსანიშნავია, რომ გარდა ორგანიზაციის დისკრედიტაციისა, საოკუპაციო ძალის მიდგომა საოკუპაციო ხაზის ე.წ. ლეგიტიმაციას ისახავდა მიზნად.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გამოწვევებისა, EUMM-ი, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საოკუპაციო ხაზზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების საკითხზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ასევე, აქტიურად თანამშრომლობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (OSCE) და ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლებთან.

ჰუმანიტარული მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობა, რაც მოიცავდა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევასა და მათ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანას. ორგანიზაციის ჩართულობით, ასევე ინტენსიურად მიმდინარეობდა 90-იანი წლების კონფლიქტისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროცესი.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების, რუსეთის ფედერაციის მხრიდან გააქტიურებული ანექსიური პროცესებისა და მათი თანამდევი დეზინფორმაციული კამპანიის განეიტრალების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა აქტიურ, შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან. ამასთან, საკუთარი მანდატის ფარგლებში, სამსახური რეგულარულად ატარებდა შეხვედრებს პარტნიორი ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირებთან, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ასევე მედიის წარმომადგენლებთან, როგორც ოკუპირებულ რეგიონებში, ისე საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ არსებული ვითარების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

2025 წელს საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია რჩებოდა ერთმანეთთან დაპირისპირებული მსხვილი აქტორების კონკურენციის ერთ-ერთ საკვანძო არეალად. რეგიონის უსაფრთხოების გარემოზე კვლავ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტი და ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესები.

გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში ცალკეული საგარეო და შიდა აქტორების მხრიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების დონე კვლავ მაღალ ნიშნულზე იყო შენარჩუნებული.

ე.წ. რბილი ძალის, ფარული ოპერაციებისა და საინფორმაციო ომის ინსტრუმენტების გამოყენებით, ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წარმოებდა სხვადასხვა სახის აქტიური ღონისძიებები. მათ შორის ადგილი ჰქონდა საქართველოში პოლიტიკური გარემოს დესტაბილიზაციისა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილების მცდელობას.

2025 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი საქართველოში გეგმავდა სამოქალაქო არეულობისა და დესტაბილიზაციის პროვოცირებას, რომლის საბოლოო მიზანი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა იყო.

ამასთან, თბილისში, 4 ოქტომბერს ორგანიზებული ჯგუფური ძალადობისა და პრეზიდენტის სასახლის ხელში ჩაგდების მცდელობის პარალელურად, დივერსიული აქტების განხორციელება იგეგმებოდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები დეტონატორით.

საქმის მასალების თანახმად, უკრაინაში მოქმედი ერთ-ერთი სამხედრო დანაყოფის ქართველი წარმომადგენლის მითითებით, რაც დასტურდება არაერთი მტკიცებულებით, საქართველოს მოქალაქის მიერ შეძენილ იქნა დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი საშუალებები, რომლებიც გადამალული იყო სპეციალურ სამალავში თბილისის მახლობლად, ტყის მასივში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, მოხერხდა იმ პირთა წრის განეიტრალება, რომლებსაც, სავარაუდოდ, აღნიშნული საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები თბილისის ცენტრში უნდა გადმოეტანათ.

ასევე, იდენტიფიცირებულ იქნა პირი, რომელმაც შეკვეთით დაამზადა დეტონატორის პულტი, რომლითაც შესაძლებელი იყო ასაფეთქებელი მასალის მოქმედებაში მოყვანა.

შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით გატარებული ღონისძიებების შედეგად, თავიდან იქნა აცილებული 2025 წლის 4 ოქტომბერს ქვეყანაში დესტრუქციული პროცესების განვითარება და ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილების მცდელობა. დაკავებულ იქნენ და ბრალი წარედგინათ ძალადობრივ აქციებში ჩართულ პირებსა და ორგანიზატორებს.

2025 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 8 საქმეზე. მათ შორის, საბოტაჟისა და უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის ან მასში მონაწილეობის ფაქტებზე.

საანგარიშო პერიოდში, ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით, ცალკეული უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურები ახორციელებდნენ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა სახის სადაზვერვო/ოპერატიულ ღონისძიებებს.

შესაბამისად, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, სამსახურის მიერ ტარდებოდა აქტიური ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობის ნიშნებისა და კონკრეტული ფაქტების გამოვლენის, შესწავლისა და მათი შემდგომი ოპერატიული კონტროლის მიზნით.

მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა მოპოვებული ოპერატიული მასალების ანალიტიკური დამუშავება და სისტემატიზაცია აღნიშნული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების შეფასებისა და საჭირო კონტრზომების შესამუშავებლად.

საანგარიშო პერიოდში, გამოვლენილ იქნენ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობაში ჩართული პირები, რომლებიც საქართველოში ატარებდნენ ოპერატიულ და აგენტურულ შეხვედრებს, კავშირს ამყარებდნენ მათი დაინტერესების ობიექტებთან და ორგანიზაციებთან. ოპერატიული საქმიანობის შედეგად დადგინდა იმ პირთა წრე, რომელთა მეშვეობით უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები და მათთან შესაძლო კავშირში მყოფი პირები ცდილობდნენ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის მოპოვებას.

2025 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 15 საქმეზე, ხოლო პასუხისგებაში მიცემულ იქნა 13 პირი.

ამასთან, სამსახურის უსაფრთხოებისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტების მიერ მოპოვებული ათობით ოპერატიული ინფორმაცია ქვემდებარეობით გადაიგზავნა საგამოძიებო უწყებებში, სადაც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეებზე.

ჰიბრიდული საფრთხეები

დეზინფორმაცია და პროპაგანდა

საანგარიშო პერიოდში შენარჩუნებულ იქნა საქართველოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის წარმოების მზარდი ტენდენცია. უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან ერთად მასში აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოში მოქმედი ცალკეული ჯგუფები, სხვადასხვა ქვეყნის, საერთაშორისო თუ რეგიონული ინსტიტუტებისა და მედიის წარმომადგენლები.

დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის ერთ-ერთ ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეების ახალგაზრდული სეგმენტი,

ასევე, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა.

საანგარიშო პერიოდში, ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე მის ფარგლებს გარედან მომდინარე პროპაგანდისტული ნარატივების უკან, ერთი შეხედვით, პოლიტიკური მდგენელი იკვეთებოდა, თუმცა, მეორე მხრივ, მსგავსი საინფორმაციო კამპანიები ხელს უწყობდა ქვეყანაში საზოგადოების პოლარიზაციას და საქართველოს, როგორც დემოკრატიული და დასავლური ფასეულობების მატარებელი ქვეყნის იმიჯის დისკრედიტაციას, საზოგადოების უნდობლობისა და უკმაყოფილების ზრდას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, ახალისებდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით შეცვლის მცდელობებს, იწვევდა საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირეებთან პარტნიორული ურთიერთობების დაზიანებას.

აქვე საყურადღებოა, რომ ბოლო წლების ტენდენციებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ დასავლური ქვეყნებიდან და ინსტიტუტებიდან მომდინარე დეზინფორმაციულმა და ორმაგი სტანდარტების შემცველმა საინფორმაციო კამპანიამ ხელი შეუწყო როგორც საქართველოში მოქმედ ცალკეულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებს, ისე უცხო ქვეყნების სპეციალურ სამსახურებს, ეწარმოებინათ ეფექტიანი ანტიდასავლური პროპაგანდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაეჩინათ ნიჰილიზმი დასავლური ინსტიტუტების მიმართ.

ამ კონტექსტში, 2025 წელს ნიშანდობლივი იყო ავტორიტეტული ბრიტანული მედია-საშუალების მიერ გავრცელებული საგამოძიებო სიუჟეტი, რომელიც ერთგვარად გახდა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილი და შესაძლოა ქვეყანაში უარყოფითი შედეგები გამოეწვია.

სახელმწიფოსა და უშუალოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროული რეაგირების შედეგად, რაც გამოიხატა აღნიშნულ საკითხზე დროული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასა და საზოგადოების პროაქტიულ ინფორმირებაში, თავიდან იქნა აცილებული ის უარყოფითი შედეგები, რასაც ზემოაღნიშნული დეზინფორმაციული სიუჟეტი ისახავდა მიზნად.

2025 წლის დეკემბრის დასაწყისში გავრცელდა BBC-ის მიერ მომზადებული საგამოძიებო სიუჟეტი, რომლის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება დადანაშაულებულ იქნა საპროტესტო აქციებში მონაწილე პირების წინააღმდეგ თითქოსდა აკრძალული ტოქსიკური ნივთიერება Bromobenzyl cyanide (CA), იმავე „კამიტის“ გამოყენებაში.

შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც ტელეკომპანია BBC-ის მიერ გაკეთებულ სიუჟეტში

გადმოცემულ ინფორმაციაზე, ასევე მის საფუძველზე საქართველოში წარმოებულ კამპანიასთან დაკავშირებით.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა 160-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება, გამოიკითხა 93 მოწმე, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, ექიმები, ექსპერტები, ბრიტანული მაუწყებლის სიუჟეტის რესპონდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები.

ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი და მეორე სამმართველოების ბაზებიდან გამოძიებამ ამოიღო კვლევის 25 ნიმუში, რომლებზეც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარდა ქიმიური ექსპერტიზა.

ხსენებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ქიმიური ფხვნილი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეძენილი ჰქონდა და წლების განმავლობაში, მიმდინარე აქციების დროს, საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენებოდა მასების მართვისთვის - არის ,,ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი''.

აღნიშნული ნივთიერება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეძენილია ებრაული კომპანიისგან 2007 წლის 18 დეკემბერს და 2009 წლის 27 მარტს გამხსნელ ნივთიერება ,,ტრიქლორეთილენთან'' ერთად. მას ტრანსპორტირებისას მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო გადაზიდვის კოდი UN3439, ხოლო გამხსნელ სითხეს - გადაზიდვის კოდი UN1710. ეს კოდები ფიქსირდება საბაჟო დოკუმენტაციაში და ყველა სხვა, მათ შორის, გამოყენების შემდგომ პერიოდში შედგენილ ჩამოწერის აქტებშიც. ნიმუშის სახით ამოღებული იქნა 17.5 კილოგრამიანი კასრი, რომელშიც ხსენებული ფხვნილი ინახებოდა. მასზე დაკრული იყო ნივთიერების მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ დამზადებული საინფორმაციო სტიკერი, რომელზეც სხვა უამრავ მონაცემთან ერთად აღნიშნული იყო როგორც ხსენებული ნივთიერების დასახელება ,,ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი'', ასევე მინიჭებული საერთაშორისო ტრანსპორტირების კოდი UN3439.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ BBC-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტში მოხსენიებული საერთაშორისო გადაზიდვის კოდებით UN3439 და UN1710 შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა სხვადასხვა ქართულ ორგანიზაციას, მათ შორის ,,ავერსი-რაციონალს'', ,,ჯიპისის'', ,,რუსთავის აზოტს'' და სხვებს, ბოლო 20 წლის განმავლობაში 606-ჯერ აქვთ შემოტანილი. ასევე, ტრანსპორტირების კოდი UN3439 – 507-ჯერ და ტრანსპორტირების კოდი UN1710 – 99-ჯერ არის დაფიქსირებული საბაჟო დეპარტამენტის სააღრიცხვო ბაზებში.

რაც შეეხება ნივთიერება „ბრომობენზილ ციანიდს", იგივე „კამიტს" - ასეთი ნივთიერება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არასდროს შეუძენია.

საქმეზე მოწმის სახით დაიკითხნენ ის ადამიანები, რომელთა ე.წ. დასკვნებს თუ ინფორმაციებს ეყრდნობოდა BBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენების შესახებ. გამოკითხვის დროს აბსოლუტურად ყველა მათგანმა უარყო, რომ მათი ინფორმაციები თუ დასკვნები ეხებოდა მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერება „კამიტს". ე.წ. კვლევის ავტორთა განმარტებით, ისინი ვერ დაადგენდნენ „კამიტის" გამოყენების ფაქტს იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ამ მიმართულებით კვლევა არ უწარმოებიათ.

გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით გამოკითხული მედიცინისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლების განცხადებების მიხედვით, ნივთიერება „ბრომობენზილ ციანიდის" ე.წ. „კამიტის" გამოყენება ადამიანების მიმართ იწვევს უმძიმეს და ხშირ შემთხვევაში ლეტალურ შედეგსაც კი, რის გამოც ის გასული საუკუნის 30-იან წლებში აიკრძალა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომი დღეების განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანილი 54 ადამიანიდან მსუბუქი ინტოქსიკაცია აღენიშნებოდა 5 პირს, რომლებიც მეორე დღესვე გაეწერნენ სამედიცინო კლინიკებიდან.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ 2024 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, კერძოდ, 4-5 დეკემბრის ღამით, მასების მართვისათვის გამოყენებულ იქნა ნივთიერება „ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი", რომლის გამხსნელადაც გამოიყენეს ნივთიერება „პროპილენ გლიკოლის" ხსნარი, აღნიშნული ნივთიერებებიდან არცერთი არ განეკუთვნება აკრძალულ ნივთიერებათა კატეგორიას.

ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის მიხედვით, გამოძიების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტიდან ამოღებული ნივთიერებები იყო - 1. ქიმიურ ნივთიერება „ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი". 2. ქიმიური ნივთიერება - ტრიქლორეთილენი (ამ შემთხვევაში საუბარია ჩამოწერილ ნაშთზე 880 ლიტრის ოდენობით). 3. ქიმიური ნივთიერება - პროპილენგლიკოლი.

გამოძიებისთვის საინტერესო პირებიდან ვერ მოხერხდა ერთადერთი მოწმის გამოკითხვა, რომლის ინფორმაციასაც მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა BBC-ის მიერ მომზადებული სიუჟეტის ავტორის მოსაზრებები, რომელიც ფიგურირებს 4 ოქტომბრის საქმეში და უკავშირდება ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილის შეძენა-შენახვის ფაქტს.

ამრიგად, გამოძიების მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები იძლეოდა დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ BBC-ის ფილმში გახმოვანებული ინფორმაციები საქართველოში ე.წ. ქიმიური იარაღი ,,კამიტის'' მომიტინგეთა წინააღმდეგ გამოყენების შესახებ არის მიზანმიმართული დეზინფორმაცია. იგი ემსახურებოდა საქართველოს ინტერესების დაზიანებას, რაშიც საქართველოს მოქალაქეებიც იყვნენ ჩართული და BBC-ის ფილმის ავტორებთან ერთად, მათი მოქმედებები ატარებდა კარგად დაგეგმილ, ორგანიზებულ და კამპანიურ ხასიათს საქართველოს წინააღმდეგ კონკრეტული მტრული მიზნების მისაღწევად.

შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს გამოძიებას მხოლოდ იმ შესაძლო დანაშაულის შესახებ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით არის გათვალისწინებული და უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დადგინდა, რომ უცხო ძალების დაკვეთით ან/და გარკვეული მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ, ცალკეული ჟურნალისტი, ექსპერტი თუ პოლიტოლოგი ამზადებდა სხვადასხვა ტენდენციური და პროპაგანდისტული ხასიათის მასალას, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებსა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

გარდა ამისა, უცხოური დაფინანსებით მოქმედი მედიასაშუალების ზოგიერთი წარმომადგენელი აწყობდა სხვადასხვა ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას, რაც ემსახურებოდა დამკვეთი სახელმწიფოს სასარგებლოდ პროპაგანდისტული საქმიანობის წარმართვას.

სხვადასხვა უცხო ქვეყნის სასარგებლოდ პროპაგანდისტული საქმიანობასა და ანტიქართული ნარატივების გავრცელების მიმართულებით, საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული გაერთიანებები კვლავ რჩებოდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების ინტერესის არეალში. გამოიკვეთა ორგანიზაციები და მათი ლიდერები, ასევე, ცალკეული პირები, რომლებსაც ახლო კავშირები გააჩნიათ უცხოეთში მაღალი თანამდებობის პირებთან და სპეციალურ სამსახურებთან.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ე.წ. საინფორმაციო ომის ფარგლებში მიმდინარე პროპაგანდისტული კამპანიების მონიტორინგს.

გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სახის სოციალური ქსელების ანგარიშები, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში შუღლისა და ნაციონალისტური განწყობების გაღვივება.

არსებული გამოწვევების გასანეიტრალებლად სამსახურის მიერ ტარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

აქვე საყურადღებოა, რომ ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარების ფონზე, უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებს ეზრდებათ მასშტაბური დეზინფორმაციული და მანიპულაციური საინფორმაციო კამპანიის ორგანიზების შესაძლებლობები. ეს ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყანაში ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების, ასევე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების პროვოცირებისთვის.

შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ზემოაღნიშნული მიმართულებით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებიდან მომდინარე საფრთხეებზე რეაგირებისთვის საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას და საუკეთესო გამოცდილების შესწავლას.

ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე არსებითად უარყოფით გავლენას ახდენდა ცალკეული ქვეყნების ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკა და მისი რეალიზების მცდელობები. უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები სხვადასხვა სახის სადაზვერვო ღონისძიებების განსახორციელებლად ცდილობდნენ აქტიურად გამოეყენებინათ საკუთარ ქვეყნებში მოქმედი პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო, რელიგიური, დიასპორული და კერძო კომერციული ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფონდების შესაძლებლობები.

აღნიშნული ორგანიზაციების მეშვეობით, საქართველოზე გავლენის მოპოვებით დაინტერესებული სახელმწიფოები ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინათ საქართველოში მათდამი ლოიალურად განწყობილ მოქალაქეებთან, კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, სტუდენტურ წრეებსა და სამოქალაქო აქტივისტებთან, ასევე ცალკეულ ექსპერტებთან, პოლიტოლოგებსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით გამოიკვეთა ზოგიერთი ქვეყნის განსაკუთრებული გააქტიურება, რაც გამოიხატა საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიებების ჩატარება-ორგანიზებაში და ამ პროცესებში მათთან კავშირში მყოფი სუბიექტების ჩართვის მცდელობებში.

ასევე, გამოვლინდა ზოგიერთი უცხოური უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მხრიდან პერიოდული სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების მოწყობის, ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზებისა და ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა მიწვევის ფაქტები. დაფიქსირდა უცხო ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან კავშირში მყოფი და ცალკეული ოფიციალური პირების მხრიდან სხვადასხვა პროექტში საქართველოდან ახალგაზრდების ჩაბმის მცდელობები.

აგრეთვე დადგინდა, რომ უცხო სახელმწიფოსთან აფილირებული და სპეციალურ სამსახურებთან კავშირში ეჭვმიტანილი საზღვარგარეთ მოქმედი ორგანიზაციების ზედამხედველობით და დაფინანსებით გამართულ ღონისძიებებში ხდებოდა საექსპერტო და ჟურნალისტური წრეების წარმომადგენელთა ჩართვა. ღონისძიებების საკითხთა თემატიკიდან იკვეთებოდა, რომ საქართველოდან ხსენებული კონტინგენტის შერჩევა მიზნად ისახავდა მათ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ „დამუშავებას" და საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას.

საანგარიშო პერიოდში, ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკის ფარგლებში, ზოგიერთი უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურის ან მათთან კავშირში მყოფი პირების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მონიტორინგი და ქვეყანაზე ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების შექმნის მცდელობები.

საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობის მიზნით ყურადღება ეთმობოდა კავშირების დამყარებას და ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის არხების ფორმირებას ქართულ ბიზნესთან. ამ მიმართულებით ეწყობოდა ცალკეული ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავდა ქართულ ეკონომიკაში მოქმედ წარმატებულ ბიზნესოპერატორებთან კავშირების დამყარებას, მომავალში მათი საკუთარი ინტერესებისთვის გამოსაყენებლად.
დაფიქსირდა უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენთა გარკვეული აქტივობა საქართველოს ცალკეულ, მათ შორის სასაზღვრო, რეგიონებში სხვადასხვა პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების კუთხით, რაც, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა ადგილობრივ მოსახლეობაში საკუთარი იმიჯის ამაღლებას და საჭიროების შემთხვევაში, მათი მხარდაჭერის მოპოვებას.

გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ კომპანიაში, სადაც ხელმძღვანელობას ახორციელებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ფიქსირდებოდა უცხოელთა დასაქმების ტენდენცია, რამაც ხანგრძლივ პერიოდში შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი საქართველოში უცხოური კაპიტალით შექმნილი ბიზნესსუბიექტები, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მათ საკუთრებაში არსებული კომპანიები. გრძელდებოდა ამგვარი კომპანიების ხელმძღვანელებისა და დასაქმებული პირების დაინტერესების სფეროებისა და კონტაქტების გამოვლენა.

მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივ ან მრავალმხრივ ფორმატში გასაფორმებელი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების ანალიზი, მათი შესაძლო თანამდევი რისკების იდენტიფიცირების მიზნით. არსებული გამოწვევების შესამცირებლად მუშავდებოდა რეკომენდაციები და გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიმდინარეობდა აქტიური ოპერატიული საქმიანობა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ ფარული ოპერაციების დროული აღმოჩენისა და მათგან მომდინარე უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით.

მაგალითად, საანგარიშო პერიოდში მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავა.

აქედან ერთ-ერთი პირის კუთვნილი ავტომანქანის გადამოწმების შედეგად, რომელიც რამდენიმე ქვეყნის გავლით შემოვიდა საქართველოში, ნაპოვნი იქნა წინასწარ საგულდაგულოდ შენიღბულ სამალავებში მოთავსებული 2.4 კილოგრამის ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება „ჰექსოგენი“.

ასევე, დაკავებულ იქნა მეორე უცხო ქვეყნის მოქალაქეც, რომელმაც მიაკითხა მძღოლს და გამოართვა სამალავებში განთავსებული დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება.

ჩატარებული ჩხრეკების შედეგად ამოღებულია 8 ერთეული მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები, დიდი ოდენობით ფულადი თანხა, სხვადასხვა ქვეყნის მობილური ოპერატორის სიმბარათები და ნარკოტიკული ნივთიერება „კოკაინი“.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაიწყო, რაც ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას და გადაზიდვას გულისხმობს. დაკავებულებს ბრალად სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებაც წარედგინათ მათი ჩხრეკისას ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით.

ფარული ოპერაციების წარმოების მიმართულებით, ცალკეული ქვეყნების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ დესტრუქციული საქმიანობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის გაღვივების მცდელობები, სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა და მათი მეშვეობით ანტიქართული ქმედებების განხორციელება.

სეპარატისტული საქმიანობის გააქტიურების მიზნით, გარკვეული ძალების მხრიდან გამოიკვეთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისა და პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის მცდელობა, ასევე ცალკეულ პოლიტიკურ ფიგურებთან შეხვედრის ორგანიზება საკუთარი გეგმების რეალიზების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში ცალკეული პირებისა და ძალების მხრიდან ადგილი ჰქონდა გარკვეულ აქტივობებს საზოგადოებრივ სივრცეში და სოციალურ ქსელებში, კერძოდ, ვრცელდებოდა სეპარატისტული პროპაგანდის შემცველი განცხადებები.

ასევე, დაფიქსირდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების აქტივობა და დაინტერესება ისეთი საკითხებით, რაც უკავშირდებოდა ახალი სეპარატისტული კერების შექმნის შესაძლებლობას. ასევე, დადგინდა მათი კავშირი იმ ჯგუფებთან და დახმარების გაწევის შემთხვევები, რომელთა საქმიანობის რეალური მიზანია სეპარატისტული გამოვლინებების წახალისება და საქართველოს ინტერესების საზიანო პროცესების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ წარმოებული ე.წ. რბილი ძალის და ფარული ოპერაციებიდან მომდინარე საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარდა სათანადო ოპერატიული ღონისძიებები.

შესაბამის უწყებებთან ერთად, პერმანენტულად მიმდინარეობდა ზემოხსენებული პროცესების კონტროლი და ანალიზი, შესაძლო კანონდარღვევების გამოვლენისა და პრევენციისთვის ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი აღნიშნულ საქმიანობაში მონაწილე ან/და ხელშემწყობი პირები და ორგანიზაციები.

კიბერუსაფრთხოება

საანგარიშო პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ფარული მოქმედებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და მათთან დაკავშირებული აქტორების მიერ განხორციელებული კიბერშეტევები და კიბერსადაზვერვო ოპერაციები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ რეაგირება მოახდინა სხვადასხვა სიმძიმის 177 კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტზე, მათ შორის გამოვლინდა და აღმოიფხვრა 14 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინციდენტი, რომელთა უმრავლესობაში გამოიკვეთა უცხოური სპეციალური სამსახურების ან/და მათთან დაკავშირებული კიბერ-კრიმინალების ინტერესები.

შეღწევადობის ტესტირება ჩატარდა ცხრა I კატეგორიას მიკუთვნებულ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტში.

ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ საკუთარ ინფრასტრუქტურაში დანერგა ინფორმაციის გაზიარების დაცული პლატფორმა, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მოთხოვნებს. პლატფორმა უზრუნველყოფს

სააგენტოსა და სუბიექტებს შორის ინციდენტების შესახებ ინფორმაციის სწრაფი და უსაფრთხო გაზიარების შესაძლებლობას 24/7 რეჟიმში.

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, შეთანხმების საფუძველზე, სხვა სახელმწიფო უწყებების, დაწესებულებების და კერძო სამართლის სუბიექტების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროდუქტებითა და სერვისებით უზრუნველყოფა.

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში სააგენტო შეიმუშავებს და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებს, ასევე კერძო სამართლის სუბიექტებს გადასცემს სხვადასხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებს.

საანგარიშო პერიოდში დოკუმენტბრუნვის და მასთან ინტეგრირებულ ინფორმაციულ სისტემებში (Eflow და InterFlow) განახლდა ელექტრონული დოკუმენტის რეგისტრაციის, ციფრული კვალიფიციური ხელმოწერისა და სისტემებს შორის ინტეგრაციის ელექტრონული სერვისები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემა Protocols-ში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, შეიცვალა და განახლდა ჯარიმების რეგისტრაციის, გამოქვეყნებისა და მართვის ფუნქციონალური მოდულები. სისტემა დაინერგა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტში. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა უკვე დანერგილი სისტემების ტექნიკური მხარდაჭერა, ორგანიზაციებიდან მომართვების განხილვა და შესრულება.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში გატარებული სხვა ღონისძიებები

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა მიგრაციის არხების მონიტორინგი.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახური ახორციელებდა საქართველოში შემოსვლის, მოქალაქეობისა და სხვადასხვა სახის ბინადრობის ნებართვის მოპოვების მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესაბამის შემოწმებას. მიმდინარეობდა აღნიშნული ნებართვების გაცემის მიზანშეწონილობის განსაზღვრა.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ განხილულ იქნა 157 011 მოქალაქის პირადი საქმე, რომლებიც ითხოვდნენ საქართველოში სხვადასხვა სტატუსით ცხოვრების ნებართვის მოპოვებას. აქედან, უარყოფითი რეკომენდაცია გაიცა 6374 საქმეზე.

დადგინდა, რომ სხვადასხვა სტატუსით საქართველოში დაფუძნების მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ხშირ შემთხვევაში, თანამემამულეების ან საქართველოს მოქალაქეების დახმარებით, ცდილობდნენ შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებას და ვითომდა ინვესტიციების განხორციელების მიზნით, ითხოვდნენ მუდმივი საინვესტიციო ბინადრობის ნებართვას, შრომითი ცხოვრების უფლებას, ხოლო საქართველოს მოქალაქეებთან ქორწინების საფუძველზე მუდმივი ცხოვრების ნებართვას.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დასრულების შემდეგ ზოგიერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე ცდილობდა ქვეყანაში დაფუძნებას საქართველოს მოქალაქესთან ფიქციური ქორწინების საფუძველზე, ასევე შრომითი ხელშეკრულების ან საქართველოში კომპანიის დაფუძნების მოტივით.

ახლო აღმოსავლეთში არსებული დაძაბული ვითარების ფონზე, ისრაელიდან, არაბული ქვეყნებიდან და ირანიდან ჩამოსულ ტურისტებს შორის შემთხვევითი თუ მიზანმიმართული დაპირისპირებების თავიდან აცილების მიზნით ოპერატიულ კონტროლზე იყო მათი შესაძლო თავშეყრის ადგილები.

საანგარიშო პერიოდში, გრძელდებოდა საქართველოში შემომსვლელ უცხოელთა ოპერატიული კონტროლი. მიგრაციული არხების მონიტორინგის შედეგად, საქართველოში ვიზიტორთა შორის გამოვლინდა იმ პირთა კატეგორია, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ უცხო ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან, მათგან იღებდნენ დავალებებს და საქართველოში ყოფნისას აწვდიდნენ ინფორმაციას დაინტერესების საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ ინტენსიურ რეჟიმში გრძელდებოდა საქართველოში მათი საქმიანობისა და კავშირების მონიტორინგი მათი მხრიდან შესაძლო კანონსაწინააღმდეგო და საქართველოს ინტერესების საზიანო ქმედებების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით.

ცალკეულ შემთხვევებში, ასევე, დაფიქსირდა უცხო ქვეყნებში პერიოდულად გადამსვლელ პირებთან სპეციალური სამსახურების წარმომადგენლის კონტაქტის შემთხვევები, მათგან დაინტერესების თემებზე ინფორმაციის მოპოვებისა და გადაბირების მცდელობის ფაქტები.

საქართველოში ვიზიტად მყოფი ან დროებით მცხოვრებ უცხოელთა ოპერატიული კონტროლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე პირი, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ანტიქართული ქმედებებით, ავრცელებდნენ ცრუ და დამახინჯებულ ინფორმაციას, ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ისტორიის დაკნინებას, დემონსტრაციულად გამოხატავდნენ მტრულ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. მათ წინააღმდეგ გატარდა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის დაწესდა სასაზღვრო კონტროლი.

სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტების აღკვეთის მიზნით გრძელდებოდა კოორდინირებული მუშაობა შესაბამის დანაყოფებთან. ხორციელდებოდა ოპერატიული მუშაობა იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც ჩართული არიან ყალბი დოკუმენტების გამოყენებითა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, საქართველოს ტერიტორიის გავლით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით გაყვანაში.

გასული წლების მსგავსად, მიგრაციული ნაკადების კონტროლის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობების განვითარებას. ამ მიზნით, 2025 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, სასაზღვრო ტექნოლოგიების გასავითარებლად მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა.

სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ სასაზღვრო მიგრაციის მართვისა და საზღვრის კვეთის ინფორმაციულ სისტემაში (BMARS) დაამატა ახალი ფუნქციონალური მოდულები კვეთის რეგისტრაციის, ფოტო და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების შენახვის, შემოწმებისა და ანალიტიკური დამუშავების მიმართულებით. სისტემას ასევე დაემატა ელექტრონული კარიბჭის ფუნქციონალური მოდული eGate. განახლდა და დაინერგა საზღვრის კვეთის ავტომატური რეგისტრაციის სისტემა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა საპატრულო პოლიციისა და საბაჟო დეპარტამენტის მომართვების განხილვა და შესრულება;

მგზავრის წინასწარი მონაცემისა (API) და მგზავრის სახელის ჩანაწერის (PNR) მიღებისა და ანალიტიკური დამუშავების პროცესების ავტომატიზაციისთვის აქტიურად მიმდინარეობდა საერთაშორისო თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის UNOCT პროგრამის გუნდთან. განხორციელდა ელექტრონული სისტემის goTravel ვერსიების დანერგვა. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა API/PNR მონაცემთა მომწოდებლებთან და ავიაკომპანიებთან თანამშრომლობა;

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაოები გარდაბნის მუნიციპალიტეტის (სოფლები ვახტანგისი-ჯანდარა) მონაკვეთზე, კერძოდ, საერთო ჯამში, განხორციელდა 25-კილომეტრიანი მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელის საინსტალაციო სამუშაოები.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რადიაციული და ბირთვული მასალების უკანონო ბრუნვის პრევენციისა და გამოვლენის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს როგორც რეგიონული, ისე გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინტენსიურად მუშაობდა ქბრბ ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვისა და ტრანსპორტირების შემთხვევების აღკვეთის მიმართულებით.

მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვისა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ 2025 წლის 17 ივლისს რადიოაქტიური ქიმიური ელემენტის - ურანის უკანონო გასაღებისა და შეძენის ფაქტზე, ქალაქ ბათუმში საქართველოს 1 მოქალაქე და უცხო ქვეყნის 1 მოქალაქე დააკავეს. დაკავებულთა შორის დადებული გარიგების თანახმად, ურანის უკანონო რეალიზაცია 3 მილიონ ამერიკულ დოლარად იგეგმებოდა.

აღნიშნული ბირთვული მასალა, რადიოაქტიური ალფა- და გამა-გამოსხივების დოზის სიმძლავრისა და წყაროს რაობის გათვალისწინებით, როგორც კომპონენტი, გამოსადეგია სხვადასხვა ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამზადებლად, ტერორისტული თავდასხმის განსახორციელებლად ან სხვა მძიმე, მასობრივი და ფატალური შედეგის დადგომისთვის.

გარდა ამისა, 2025 წლის 25 ოქტომბერს დაკავებულ იქნა უცხო ქვეყნის სამი მოქალაქე ქ. თბილისში, 2 კილოგრამი ბირთვული მასალა ურანის უკანონო შეძენის მცდელობის ფაქტზე.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თბილისში გეგმავდნენ რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენას 400 000 აშშ დოლარად და შემდეგ უკანონო ტრანსპორტირებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

დანაშაულებრივი გეგმის განსახორციელებლად უცხო ქვეყნის ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რეჟიმის დარღვევით იმყოფებოდა, საქართველოში ჩამოიყვანა ურანის შეძენით დაინტერესებული ექსპერტები და ქვეყნის მასშტაბით აქტიურად დაიწყო ბირთვული მასალის მოძიება. უკანონო გარიგების დეტალებზე მოლაპარაკების პროცესში, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზების შედეგად მოხდა დამნაშავე პირების იდენტიფიცირება და მათი დაკავება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და სხვა ძალოვან უწყებებში არსებული ვითარება, მიმდინარე რეფორმები და სტრუქტურული ცვლილებები კვლავ რჩებოდა ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების ინტერესის სფეროში. მათ შორის, დაინტერესების საკითხებს წარმოადგენდა ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, ინფორმაცია უწყებებში არსებული პრობლემების, პირადი შემადგენლობისა და მათი განწყობების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა ძალოვანი უწყებების კონტრდაზვერვით უზრუნველყოფას.

საყურადღებო პირთა გამოვლენისა და შესაძლო დესტრუქციული ქმედებების პრევენციის მიზნით, მიმდინარეობდა ვითარების ოპერატიული მონიტორინგი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის სუბიექტებზე საიდუმლოებისა და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვა.

საანგარიშო წლის განმავლობაში, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე, სხვა ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე, სამსახური ახორციელებდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებსა და შესაბამის კოორდინაციას.

სარეჟიმო ობიექტებზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამსახური უზრუნველყოფდა კონტრსადაზვერვო ძიების წარმოებას, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მხრიდან ობიექტზე აგენტურის შესაძლო ჩანერგვის, ტექნიკური შეღწევისა და სხვა ნეგატიური ქმედებების გამოვლენას, მათ თავიდან აცილებას და აღკვეთას. სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტებისთვის სამსახური წინსწრებით მოიპოვებდა ინფორმაციას და გასცემდა შესაბამის პრევენციული სახის რეკომენდაციებს. ამასთან, სისტემატურად მიმდინარეობდა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება გაიცა 97 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე. გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, აღნიშნული ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა 18 ორგანიზაციას. საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება განხორციელდა 12 ორგანიზაცია-დაწესებულებაში. სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მსურველ 1442 ფიზიკურ პირზე განხორციელდა შემოწმების პროცედურა. გარდა ამისა, 368 პირს სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებიდან გაეწია მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარება საიდუმლო საქმის წარმოებისა და საიდუმლოების რეჟიმის დაცვის კუთხით.

საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის მცდელობების პრევენცია და აღკვეთა წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, მუდმივ რეჟიმში ატარებდა ყველა საჭირო ღონისძიებას საერთაშორისო სანქციების დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყანაში იურიდიული პირების დაფუძნების შემთხვევები და მიღებულ იქნა ზომები, სანქციებისთვის თავის არიდების პროცესში ქართული კომპანიების შესაძლო ჩართვის აღსაკვეთად. შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე 2025 წელს ამ ტიპის საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციები არ დაფიქსირებულა.

სამსახურის სადაზვერვო საქმიანობა

რთული და სწრაფად ცვალებადი უსაფრთხოების გარემოს პირობებში, სადაც საგარეო და შიდა საფრთხეებს შორის მკაფიო ზღვარი წაშლილია, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საქართველოს უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება და შეზღუდული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება.

შესაბამისად, მიღებულ იქნა დაზვერვის ფუნქციების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურაში გაერთიანების გადაწყვეტილება. შედეგად, 2025 წლის პირველი აგვისტოდან საქართველოს დაზვერვის სამსახური გარდაიქმნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - დაზვერვის სააგენტოდ, რომელიც არის წამყვანი სადაზვერვო დაწესებულება სადაზვერვო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

აღნიშნულმა ცვლილებამ ხელი შეუწყო საგარეო საფრთხეების იდენტიფიცირებისა და აღკვეთის მიმართულებით ძალისხმევის კონსოლიდაციას და მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვნად გაზრდას. გაუმჯობესდა შესაბამის საკითხებზე პასუხისმგებელ დანაყოფებს შორის კოორდინაცია და შესაძლებელი გახდა არსებული ძალებისა და საშუალებების უფრო მიზნობრივი გამოყენება. დაზვერვის სააგენტოს, როგორც დაზვერვის სამსახურის სამართალმემკვიდრეს, შეუნარჩუნდა ძირითადი უფლებამოსილებები და სტრუქტურა, რამაც ხელი შეუწყო სადაზვერვო საქმიანობის უწყვეტობას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცდა სახელმძღვანელო დოკუმენტი - „2026-2027 წლების სადაზვერვო საქმიანობის პრიორიტეტები და ამოცანები“, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში პირველი პრეცედენტია და ქმნის დაზვერვის სააგენტოს საქმიანობის ინსტიტუციონალიზაციისა და განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას. დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა კონკრეტულ მიმართულებებზე/ამოცანებზე ფოკუსირებული სადაზვერვო დავალებები და გეგმები.

შესაბამისად, დაზვერვის სააგენტო აგრძელებდა ქვეყნის საგარეო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული პროცესების შესწავლას, ახდენდა ადრეულ ეტაპზე პოტენციური გამოწვევების იდენტიფიცირებას, რაც წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ

ეფექტიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ ფაქტორს.

სააგენტო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებდა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა გარე აქტორების ინტერესების, მიზნებისა და ამოცანების გამოვლენას ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით. ასევე, სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა წარმოადგენდა.

ამასთან, სააგენტო ჩართული იყო ტერორიზმთან დაკავშირებული რისკების გამოვლენის პროცესში. ინფორმაციის მოპოვება მიმდინარეობდა საზღვარგარეთ მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციებისა და ექსტრემისტული ჯგუფების საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საქართველოსთან მიმართებით ნებისმიერი ტერორისტული აქტივობის იდენტიფიცირება.

დაზვერვის სააგენტო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტნიორი ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობას, რაც გლობალური გარდაქმნების პირობებში წარმოადგენს სადაზვერვო საქმიანობის ეფექტიანობის საკვანძო წინაპირობას.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

2025 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ტერორიზმის კუთხით არსებული ვითარება მსოფლიოსთვის კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა. გლობალური კონტრტერორისტული ძალისხმევის მიუხედავად, ტერორისტული ორგანიზაციები პოზიციებისა და რესურსების აღდგენას აქტიურად ცდილობდნენ.

ძირითადი გამოწვევები კვლავ „დაეშისა“ და „ალ-კაიდასგან“ მომდინარეობდა, რომელთაც გასულ წლებში მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს. ტერორისტული ორგანიზაციები ახალი მებრძოლების გადაბირებას, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტით შექმნილი პროპაგანდის მეშვეობით ცდილობდნენ, რაც უმეტესად არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებზე იყო გათვლილი.

„ჰამასის“ და „ჰეზბოლას“ დასუსტების მიუხედავად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ებრაელების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები უსაფრთხოების გარემოს კვლავ აზიანებდა. ანტისემიტიზმს ხშირად სხვა ტერორისტული ორგანიზაციებიც მხარდამჭერთა ინსპირაციისთვის იყენებდნენ.

2025 წელს განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა წარმოაჩინა ჯიჰადისტური ქსელების შესაძლებლობა, გააგრძელონ თავდასხმები და გააფართოონ მათი

გეოგრაფიული არეალი. დასავლეთის ქვეყნებში დაფიქსირებული ცალკეული შემთხვევების მიუხედავად, ჯიჰადისტური ორგანიზაციების მოქმედებების ეპიცენტრებს აფრიკის კონტინენტი, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია წარმოადგენდა.

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება

„დაეში" („ისლამური სახელმწიფო")

საანგარიშო პერიოდში „დაეში", სირიაში პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, ახალ გარემოსთან ადაპტაციას და პოზიციების გაძლიერებას ცდილობდა, თუმცა მისი რეალიზაცია სრულად ვერ შეძლო.
ტერორისტული ორგანიზაცია თავდასხმებს ახორციელებდა როგორც სირიის მოქმედი ხელისუფლებისა და ძირითადად ქურთებით დაკომპლექტებული „სირიის დემოკრატიული ძალების" (SDF), ისე ეთნო-რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში სირიის უსაფრთხოების ახლად ჩამოყალიბებულ სტრუქტურებში ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლების ინფილტრაცია დაფიქსირდა. „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ მოქმედ საერთაშორისო კოალიციასთან სირიის შეერთების მიუხედავად, ქვეყნის შიგნით ვითარება არასტაბილური რჩებოდა.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა სირიის ციხეებსა და ბანაკებში, ასევე ერაყის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი „დაეშის" უცხოელი მებრძოლებისა და მათი რადიკალიზებული ოჯახის წევრების საკითხი. გასათვალისწინებელია, რომ ამ კატეგორიის პირებისგან მომდინარე საფრთხეების ეფექტიანი შეკავება გართულდა რეგიონში შეცვლილი პოლიტიკური ვითარებისა და ზემოხსენებული დაწესებულებების საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის შემცირების ფონზე.

ამასთან, სირიაში ქურთების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს" თავდასხმების შედეგად, ადგილი ჰქონდა ციხეებიდან და ბანაკებიდან გაქცევის შემთხვევებს. შექმნილ ვითარებას ქურთების ერთიან სირიაში ინტეგრაციის პროცესის გაჭიანურება ამწვავებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სირიისგან განსხვავებით, 2025 წელს ერაყში „დაეშის" შესაძლებლობები და მოქმედებები ადგილობრივი და კოალიციური კონტრტერორისტული ძალისხმევის შედეგად მკვეთრად იყო შეზღუდული.

საყურადღებოა „დაეშის" რეგიონული განშტოების, „ისლამური სახელმწიფო - ხორასანის" აქტივობები ონლაინსივრცეში, რომლის ძირითად სამიზნე ჯგუფს კვლავ ცენტრალური აზიის ქვეყნების მოქალაქეები წარმოადგენდნენ, ხოლო გადაბირების მიზნით, პროპაგანდა მათ მშობლიურ ენებზე აქტიურად ვრცელდებოდა.

თავის მხრივ, დასავლურ ქვეყნებში დაფიქსირებული ტერორისტული თავდასხმების ერთეული შემთხვევები ადასტურებდა, რომ „დაეში“ სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ცალკეულ მხარდამჭერებთან, მათ შორის, იდეოლოგიურ კავშირებს და შორ მანძილზე მოქმედებების შესაძლებლობას ინარჩუნებდა.

საანგარიშო პერიოდში, „დაეში“ გლობალური, თუმცა დეცენტრალიზებული ორგანიზაციის ფორმით აგრძელებდა არსებობას. ამ ფონზე გასათვალისწინებელია ტერორისტ მებრძოლთა გააქტიურება სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტზე, სადაც არსებული არასტაბილურობის და ეთნო-რელიგიური კონფლიქტების ფონზე „დაეშის“ მებრძოლების გარკვეულმა ნაწილმა გადაინაცვლა.

„ალ-კაიდა“

2025 წლის განმავლობაში „ალ-კაიდას“ გაძლიერების ტენდენცია არ დაფიქსირებულა. ტერორისტული ორგანიზაციის ავღანეთში მოქმედ ქსელს რეგიონის სახელმწიფოებისთვის უშუალო საფრთხე არ შეუქმნია.

ასევე, შეზღუდული რჩებოდა „ალ-კაიდას“ საბრძოლო პოტენციალი, ხოლო ხელმძღვანელი რგოლი მნიშვნელოვნად იყო დასუსტებული. ამავე დროს, ორგანიზაციის აფრიკის კონტინენტზე მოქმედი დაჯგუფებები რეგიონულ დანაყოფებს შორის ყველაზე აქტიურები იყვნენ.

საანგარიშო პერიოდში, აფრიკაში თავდასხმების რაოდენობა გაიზარდა, რასაც მასშტაბური და კოორდინირებული ხასიათი ჰქონდა. ამავე დროს, უპილოტო საფრენი აპარატების, ხელოვნური ინტელექტის ელემენტებისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ მზარდი ტენდენციის სახე შეიძინა. ცალკე აღსანიშნავია „ალ-კაიდას“ იემენში მოქმედი დანაყოფი, რომლის მეთაური გლობალური მასშტაბით ორგანიზაციის იდეოლოგიურ ლიდერად ცდილობდა პოზიციონირებას.

„თალიბანი“

თალიბანის მმართველობის პირობებში ავღანეთში ტერორისტული საფრთხეების დონე კვლავ მაღალი იყო, სადაც „დაეშის“ რეგიონული განშტოება „ისლამური სახელმწიფო - ხორასანი“ აქტიურობდა, ხოლო „ალ-კაიდა“ საწვრთნელ ბანაკებს ინარჩუნებდა.

ასევე, საყურადღებოა ავღანეთში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფება „პაკისტანის თალიბანი“ (TTP), რომელიც მეზობელ პაკისტანზე პერიოდულად თავდასხმებს ახორციელებდა, ხოლო ისლამაბადი ქაბულს მათ მხარდაჭერაში ადანაშაულებდა. ზემოაღნიშნული ვითარება რეგიონში უსაფრთხოების გამოწვევებს ზრდიდა და ტერორისტული ქსელების პოზიციების შენარჩუნებას უწყობდა ხელს.

„ჰეზბოლა“, „ჰამასი“

საანგარიშო პერიოდში, „ჰამასის“ აქტივობები, განსაკუთრებით ღაზას სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შემდეგ (2025 წლის ოქტომბერი), შემცირდა, თუმცა ისრაელის შეიარაღებულ ძალებთან მათი შეტაკებები პერიოდულად კვლავ ფიქსირდებოდა. „ჰამასი“ ცდილობდა თავისი გავლენა და კონტროლი ღაზას სექტორის ნაწილზე შეენარჩუნებინა.

რაც შეეხება „ჰეზბოლას“, 2025 წელს ორგანიზაციის შეიარაღებული დანაყოფები ისრაელის საზღვართან აღარ იყვნენ კონცენტრირებულები. ინტენსიურმა საჰაერო შეტევებმა (განსაკუთრებით აპრილ-ივლისში) „ჰეზბოლას“ საბრძოლო პოტენციალი მკვეთრად შეამცირა, თუმცა ორგანიზაცია კვლავ რჩებოდა როგორც ისრაელის, ისე რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელოვან გამოწვევად.

საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა

საქართველო ტერორისტული თავდასხმების თვალსაზრისით დაბალი რისკის სახელმწიფოა. თუმცა, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან საქართველოსადმი ყურადღება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე განსაკუთრებულია. ამ ეტაპზე ტერორისტული ორგანიზაციები საქართველოს ტერორისტული თავდასხმის ობიექტად არ განიხილავენ. ძირითადი აქცენტი ქვეყნის ტრანზიტულ შესაძლებლობებზე და სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მოწყობაზეა ორიენტირებული. არსებული ვითარება, ტერორისტული ორგანიზაციების დღის წესრიგიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში ტარდებოდა სათანადო ღონისძიებები ტერორისტული საფრთხეებისადმი ქვეყნის მზადყოფნის დონის ასამაღლებლად.

მიმდინარეობდა ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური და სამძებრო ღონისძიებები. მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეების და ტენდენციების იდენტიფიცირების მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრი, ინფორმაციის დროული და ოპერატიული ურთიერთგაცვლის მიმართულებით, აქტიურად თანამშრომლობდა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, ინტერპოლთან და ევროპოლთან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან აქტიურად მიმდინარეობდა ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ოპერატიული ხასიათის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

გრძელდებოდა საქართველოს იმ მოქალაქეების და მათი ოჯახის წევრების იდენტიფიცირება, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან, იმყოფებიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ და სამომავლოდ სურთ საქართველოში დაბრუნება.

ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების მიმართულებით კრიტიკულად მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობა. ამ კონტექსტში ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საერთაშორისო საფრთხეების, ასევე ახალი გამოწვევებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით, სახელმწიფო უწყებებს შორის ოპერატიულ რეჟიმში ხორციელდებოდა ინფორმაციის გაცვლა.

ტერორისტულ გამოწვევებთან გამკლავების მიმართულებით სამსახური აქტიურად გეგმავდა და ატარებდა პრევენციულ ღონისძიებებს. მათ შორის ტერორიზმთან, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარებისა და პრევენციული მექანიზმების გაზრდის მიზნით, კონტრტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და სემინარებში.

გრძელდებოდა აქტიური მუშაობა ტერორისტულ აქტივობებზე პირდაპირი რეაგირების დანაყოფების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, საქართველო განაგრძობდა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) რეზოლუციის მოთხოვნათა იმპლემენტაციას.

2025 წელს ტერორიზმთან დაკავშირებული სანქციების ეროვნულ სიაში, დამატებით იქნა შეყვანილი ტერორიზმის ბრალდებით მსჯავრდადებული საქართველოს კიდევ ორი მოქალაქე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს და უშუალოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოებული კონტრტერორისტული საქმიანობა და მიღწეული შედეგები დადებითად შეფასდა უცხოელი პარტნიორების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა კომისიამ საქართველოს შესახებ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თაობაზე 2025 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნებულ კომუნიკეში, რომელიც განკუთვნილი იყო ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის, დადებითად შეაფასა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს კონტრტერორისტული კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს და შესაბამის საერთაშორისო სამართალს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს; შექმნილია

მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია; დამტკიცებულია 2022-2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა; საქართველო ჩართულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ძალისხმევაში, საქართველოს თანამშრომლობა Europol-თან, Interpol-თან, NATO-სა და გაეროს ანტიტერორისტულ პროგრამებთან მოხსენიებულია როგორც „აქტიური თანამშრომლობა".

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები

საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, საქართველოს წინაშე შენარჩუნებულ იქნა შემდეგი ძირითადი ტერორისტული საფრთხეები:

- საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერთა მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება;
- სირიასა და ერაყში მყოფი **„დაეშისა"** და **„ალ-კაიდასთან"** დაკავშირებული საქართველოს მოქალაქეების შესაძლო დაბრუნება ქვეყანაში;
- ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერებისა და უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება;
- საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვა სახის დახმარების გაწევის შესაძლო მცდელობა;
- ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის ან/და საქართველოს მოქალაქეების შესაძლო გადაბირება.

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია საკუთარი მოქალაქეების, სახელმწიფო საზღვრის, მასობრივი თავშეყრის ადგილების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების დაცვა ტერორისტული თავდასხმებისა და აქტივობებისგან.

კონტრტერორისტული ცენტრი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას, ტერორისტული საფრთხეების იდენტიფიცირებას და გამოვლენას. ამ მიმართულებით წარმატებულ საქმიანობაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ 2025 წელს საქართველოში ტერორისტულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია.

ტერორისტული თავდასხმის პრევენციის კონტექსტში, სამსახური შესაბამის ღონისძიებებს მიმართავდა, მათ შორის, საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის ცალკეულ მოქალაქეებზე ოპერატიული კონტროლის მიმართულებით.

ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა ცეცხლსასროლ იარაღთან, საბრძოლო მასალებთან და ასაფეთქებელ ნივთიერებებთან დაკავშირებული პირების ოპერატიული კონტროლი.

საანგარიშო პერიოდში ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური და სამძებრო ღონისძიებების შედეგად სამსახურის მიერ გამოვლენილ და დაკავებულ იქნა საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში მყოფი პირები და პირთა ჯგუფები.

2025 წლის 20 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, კონტრტერორისტული ოპერაციების ფარგლებში მიმდინარე ოპერატიული საქმიანობისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით ერთდროულად რამდენიმე სპეციალური ოპერაცია ჩატარდა. დაკავებულ იქნა საქართველოს ორი მოქალაქე, რომელთა საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი, მათ შორის, საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციასთან შესაძლო კავშირის დამადასტურებელი სხვადასხვა მტკიცებულება.

2 მაისს, კომპლექსურად გატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქალაქ რუსთავში უცხო ქვეყნის ინიციატივით ინტერპოლის ცირკულარით ძებნილი, უცხო ქვეყნის ერთი მოქალაქე იქნა დაკავებული. დადგინდა, რომ პიროვნება 2014 წელს გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთში და რეგიონში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში გაწევრიანდა. დაკავებული პირი საბრძოლო მოქმედებების გამოცდილების მქონეა და ასაფეთქებელ მოწყობილობებთან დაკავშირებით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია. პირი ტერორისტულ ორგანიზაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან აქტივობებზე იყო პასუხისმგებელი.

გასული წლის ნოემბერში კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჩურის მიმდებარედ არსებულ ტყის მასივში მოწყობილ სამალავში აღმოჩენილი იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა სახის ასაფეთქებელი ნივთიერება, მათ შორის - ტროტილი. აღნიშნული უკავშირდება ქ.თბილისში ლიკვიდირებულ ჩატაევისა და მისი დაჯგუფების წევრების წინააღმდეგ 2017 წელს დაწყებულ გამოძიებას.

სირიასა და ერაყში მყოფი „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა

სირია-ერაყში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებული და მათ რიგებში მებრძოლი პირების, ასევე მათი ოჯახის წევრების, ე.წ. წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნება

მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა. მრავალი სახელმწიფოს მსგავსად, აღნიშნული საკითხი საქართველოსთვისაც გამოწვევად რჩებოდა.

2025 წელს სირიის არაბთა რესპუბლიკაში 15-მდე საქართველოს მოქალაქე და მათი ოჯახის წევრი რჩებოდა, რომლებიც ციხეებსა და ტყვეთა ბანაკებში იმყოფებოდნენ. აღნიშნულ პირებთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სათანადო ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების გატარება, ხოლო საქართველოში მათი დაბრუნების მცდელობის შემთხვევაში, კონტრტერორისტული ცენტრი გამოძიების ფარგლებში შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას მოახდენს.

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების ან/და უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეებისა და საერთაშორისო მასშტაბით მიგრაციული ნაკადების ზრდის ფონზე სახელმწიფო საზღვრის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იზრდება ტერორისტების ან მათთან დაკავშირებული პირების ამა თუ იმ ფორმით ქვეყანაში მოხვედრისა და საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტული მიზნით გამოყენების რისკი.

საანგარიშო პერიოდში კონტრტერორისტული ცენტრი, შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, 24-საათიან რეჟიმში ახორციელებდა საქართველოს საზღვრის კონტრტერორისტულ „სკრინინგს“ და აკონტროლებდა მიგრაციის არხებს, სახელმწიფოში არალეგალური შეღწევის შესაძლო მარშრუტებსა და ე.წ. დერეფნებს.

გატარებული ღონისძიებების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული პირების ქვეყანაში შემოსვლის ეფექტიანი პრევენცია, ხოლო გამოვლენილი საეჭვო პირების შესახებ ინფორმაცია ოპერატიულად გადაეცემოდა შესაბამის პარტნიორ უწყებებს.

2025 წლის 13 ოქტომბერს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კონტრტერორისტული ცენტრის მიერ აჭარის რეგიონში, ერთდროულად 5 სხვადასხვა ადგილას, სპეციალური ღონისძიება ჩატარდა.

შედეგად დაკავებულ იქნა საქართველოს 3 მოქალაქე. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ტერორისტულ იდეოლოგიაზე ჩამოყალიბებულ ე.წ. თექბირისტების ჯამაათის წევრებს კავშირი ჰქონდათ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ უცხო ქვეყანაში მყოფ გავლენიან ლიდერებთან.

დაჯგუფების წევრები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აგრესიით სხვა რელიგიის მიმდევრების მიმართ. საქმეში არსებული ინფორმაციით, ხსენებული დაჯგუფების წევრები გეგმავდნენ, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენიანი წევრების საქართველოში არალეგალურად შემოყვანას და მათი ლიდერობით, გარკვეული პლაცდარმის მოწყობას, რითაც უზრუნველყოფდნენ თანამოაზრეების არალეგალურად დახვედრა-დაბინავებას, ლოჯისტიკური მომსახურების გაწევას და ტერორისტული მიზნისთვის საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენებას.

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებისა ან/და მათთვის სხვაგვარი მხარდაჭერის გაწევის მცდელობა

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ფინანსური რესურსების არსებობა. ფინანსების მოძიებისთვის ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფები რთულად გამოსავლენ, მრავალდონიან მეთოდებს მიმართავენ. ბოლო წლებში ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან გაიზარდა ე.წ. კრიპტოვალუტის გამოყენების შემთხვევები.

2025 წელს სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ტერორიზმისა და ექსტრემიზმის დაფინანსების შემთხვევების იდენტიფიცირებაზე მუშაობას და ქვეყანაში შემოსულ საეჭვო თანხებზე კონტროლს.

ამ მიმართულებით კონტრტერორისტული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან (FMS), საიდანაც მიღებულ საეჭვო ანგარიშგებებზე ტარდებოდა კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო თუ საგამოძიებო მოქმედებები.

გატარებული ღონისძიებებისა და სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად, 2025 წლის განმავლობაში საქართველოდან ტერორიზმის დაფინანსების ან ტერორისტული ორგანიზაციებისათვის სხვა სახის დახმარების ფაქტები არ დადასტურებულა. აღნიშნული მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის კოორდინაცია საერთაშორისო პარტნიორებთან.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს მიერ MONEYVAL-ის (ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტი) რეკომენდაციების აქტიურ იმპლემენტაციას.

ტერორისტული ორგანიზაციების წევრებისა და მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის ან/და საქართველოს მოქალაქეების შესაძლო გადაბირება, ტერორისტულ საქმიანობაში შესაძლო ჩართვა

ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფები პირთა რადიკალიზაციისა და რეკრუტირების პროცესში კონკრეტულ იდეოლოგიას ეყრდნობიან. აღნიშნული კი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფზე მორგებულ მრავალმხრივ ნარატივებს მოიცავს, რომელიც დატვირთულია რელიგიური, სოციალური, კულტურული, ისტორიული და სხვა შინაარსით.

მსგავსი იდეოლოგიის გავრცელების ძირითად პლატფორმას წარმოადგენს ინტერნეტსივრცე და სოციალური მედია, რომელიც ფართო აუდიტორიებთან კომუნიკაციისთვის, პირთა გადაბირებისა და მუქარის შემცველი გზავნილების გავრცელებისთვის გამოიყენება.

ამ კონტექსტში, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების მიერ სოციალურ ქსელებში და ფორუმებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და მოწოდებების მონიტორინგი, იმ პირების იდენტიფიცირება, რომლებიც ლოიალურად არიან განწყობილნი აღნიშნული დაჯგუფებების მიმართ. ხდებოდა ტერორისტულ და ექსტრემისტულ ნარატივებში არსებული ტენდენციების გამოკვეთა.

მათ შორის ყურადღება ეთმობოდა საქართველოში და საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს იმ მოქალაქეების სოციალური ანგარიშების მონიტორინგს, რომლებიც დაკავშირებულნი ან ლოიალურად განწყობილნი არიან ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიმართ. ასევე, ხდებოდა რადიკალურ-ექსტრემისტული მასალების გაანალიზება, რომლის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები.

საანგარიშო პერიოდში, ინტერნეტ სივრცისა და სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გატარდა არაერთი პრევენციული ზომა და განეიტრალდა არსებული საფრთხეები.

ტერორისტული და ექსტრემისტული კამპანიის დროული გამოვლენით და საწყის ეტაპზე მასთან გამკლავებით, სახელმწიფო იცავს საკუთარ მოქალაქეებს ამ მიმართულებით დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვისგან.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიზღუდა რადიკალურ-ექსტრემისტული იდეოლოგიის გავრცელების საფრთხე. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, რამდენიმე უცხო ქვეყნის მოქალაქემ დატოვა საქართველოს ტერიტორია. მათი ქვეყანაში განმეორებითი შემოსვლის აღსაკვეთად განხორციელდა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიება.

დაწყებული გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტები

2025 წელს კონტრტერორისტული ცენტრი გამოძიებას ატარებდა როგორც გასულ წლებში დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე საანგარიშო პერიოდში დაწყებულ სისხლის სამართლის 14 საქმეზე, მათ შორის 6 საქმეზე მხოლოდ ტერორისტული დანაშაულის ნიშნებით. ამასთანავე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ, რომელთაგან 3 პირი პასუხისგებაში მიეცა ტერორიზმის თავით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტებზე.

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა 2022–2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია.

პროცესის განხორციელებას ზედამხედველობას უწევდა მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია, რომელიც განაგრძობდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.

2025 წლის ბოლოს გამართულ კომისიის სხდომაზე სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი პოზიტიურად შეფასდა და აღინიშნა, რომ აქტივობების უმეტესობა უწყებების მიერ გეგმის შესაბამისად შესრულდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

სახელმწიფო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ეროვნული უსაფრთხოების საკითხად განიხილავს. ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები, ტექნოლოგიურ პროგრესზე დაფუძნებული კორუფციის ახალი ფორმები, სახელმწიფოსგან მოითხოვს მუდმივ მზადყოფნას, რათა შეიმუშაოს მოქნილი მექანიზმი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამსახურის პრიორიტეტია ეფექტიანი და პროაქტიული ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება, ქვეყანაში კორუფციის დონის შესამცირებლად.

საანგარიშო პერიოდში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები როგორც ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მიმართულებით, ასევე ანალიტიკური და პრევენციული ღონისძიებების კუთხით. შედეგად, საანგარიშო

პერიოდში დაკავებულ იქნა და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა არაერთი მაღალი თანამდებობის პირი და საჯარო მოხელე.

2025 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 54 საქმეზე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 104 პირი ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, სამსახურებრივი სიყალბე და სხვა.

საანგარიშო პერიოდში განრიდება გამოყენებულ იქნა სისხლის სამართლის 2 საქმეზე 3 პირის მიმართ.

2023 წლის 15 ნოემბრისა და 2024 წლის 17 სექტემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე, საანგარიშო წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის 8 საქმეზე, სახელმწიფოს დაუბრუნდა 1 086 410 ლარის ღირებულების დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 126 362 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 28 პირი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, საქართველო კვლავ მოწინავე ადგილს იკავებს საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის" (CPI) მიხედვით, საქართველოს ქულა განისაზღვრა (50) და მსოფლიო მასშტაბით 182 ქვეყანას შორის 56-ე ადგილი დაიკავა.

საქართველო რეიტინგში უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს წევრ 10 ქვეყანას: სლოვაკეთს, ხორვატიას, მალტას, მონტენეგროს, რუმინეთს, ბულგარეთს, ალბანეთს, უნგრეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას და თურქეთს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, კვლავ ახორციელებდა საკანონმდებლო აქტების პროექტების შეფასებას ანტიკორუფციულ ჭრილში, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შემოწმებას, სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს, სახელმწიფო ქონების გასხვისების კანონიერების შეფასებას, აგრეთვე ენერგეტიკული პროექტების შემოწმებას, კორუფციული რისკებისგან დაზღვევის მიზნით.

კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა კორუფციისთვის მოწყვლადი ჯგუფებისა და სფეროების იდენტიფიცირება, საჯარო სექტორში შესაძლო კორუფციის რისკების ანალიზი და აღნიშნული რისკების შემცირება-აღმოფხვრისთვის კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

საანგარიშო წლის განმავლობაში, კორუფციული და სამოხელეო დანაშაულების გამოვლენა-აღკვეთის პარალელურად, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევა კორუფციის პრევენციის ხელშემწყობი ზომების დანერგვისა და გაძლიერების მიმართულებით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს კორუფციის პრევენციის სამსახურის მიერ ანტიკორუფციული ღონისძიებების, კორუფციული რისკებისა და პრევენციული ქმედებების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რომლებშიც 300-ზე მეტმა სტუდენტმა მიღო მონაწილეობა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე გარკვეულწილად მეტყველებს მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციული დანაშაულების გამოვლენაში (მამხილებელთა შეტყობინებები), რაც გამოიხატა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსთვის მომართვიანობის ზრდაში.

2024 წელთან შედარებით, 2025 წელს გაიზარდა დეპარტამენტში შემოსული მამხილებელთა შეტყობინებები და 156 ერთეული შეადგინა. აქედან, 15-ზე დაიწყო გამოძიება, 3 დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, 48 ქვემდებარეობით გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში, 22 არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, ხოლო 66-ზე კვლავ მიმდინარეობს შესწავლის პროცესი, 2 საკითხს კი განიხილავდა სხვა უწყება და არ მიეცა მსვლელობა.

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

სამსახურის სათანადო ფუნქციონირებისა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სამართლებრივი ბაზის დახვეწას, ასევე, გრძელდებოდა შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავების პროცესი.

2025 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოამზადა და გამოსცა 200-ზე მეტი ახალი სამართლებრივი აქტი, ხოლო კომპეტენციის გათვალისწინებით, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ შემუშავებულ 400-ზე მეტ სამართლებრივი აქტის პროექტზე.

ამასთან, საიდუმლო ნორმატიული აქტების შემუშავების მიმართულებით სამსახურმა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ნდობის ჯგუფს პროაქტიულ რეჟიმში გასაცნობად გაუგზავნა სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული 13 საიდუმლო ნორმატიული აქტი.

საანგარიშო პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობდა სამსახურებრივი რეგულაციების შემუშავებისა და დახვეწის პროცესი. საკანონმდებლო აქტებით დანერგილ სიახლეებთან სამსახურის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობაში მოყვანისა და ჰარმონიზაციის მიზნით, სამსახურის მიერ შემუშავდა როგორც საქართველოს მთავრობის, ისე სამსახურის უფროსის მთელი რიგი სამართლებრივი აქტების პროექტები. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- მომზადდა სამართლებრივი აქტების პროექტები, რომელთა მიხედვით, დაზვერვის სამსახური ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - დაზვერვის სააგენტო.
- „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან არსებული ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია და დამტკიცდა მისი დებულება.
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და მისგან გამომდინარე მთავრობის დადგენილებებსა და სამსახურის უფროსის ნორმატიულ აქტებში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი გარდაიქმნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიად.
- „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N385 დადგენილებასა და მისგან გამომდინარე სამართლებრივ აქტებში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, რომელთა თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ჩამოყალიბდა ახალი - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობის კუთხით.

შესაბამისი განჩინებების საფუძველზე, საერთო სასამართლოებს სამსახურის მიერ მიეწოდა საქმეების განხილვისთვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები (საერთო ჯამში, 1200-ზე მეტი ინფორმაცია/მტკიცებულება). ამასთან, დამუშავდა სასამართლოებიდან შემოსული 800-მდე დოკუმენტი. 2025 წელს სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 41 სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო დავა, საიდანაც 14 - დასრულდა სხვადასხვა ინსტანციაში. ძირითადად

აღნიშნულ საქმეებში სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სამსახურის პოზიცია, რაც აისახა შესაბამის გადაწყვეტილებებში.

ამასთან, 1 სამოქალაქო ხასიათის დავა გადაწყდა მხარესთან შეთანხმების საფუძველზე, სარჩელის სასამართლოში აღძვრის გარეშე. აღსასრულებლად მიეცა გადაწყვეტილება 2 საქმეზე, ხოლო 5 საქმეზე ანაზღაურება მოხდა ნებაყოფლობით.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად აგრძელებდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას, რომელიც, მათ შორის, უკავშირდებოდა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში სხვადასხვა დოკუმენტის პროექტების განხილვასა და მათ ფორმირებაში მონაწილეობას.

2025 წელს სამსახური ასევე აქტიურად იყო ჩართული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის“ უწყებათაშორისი კომისიის (IATF) საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებული იყო თვითმმართველობის არჩევნებთან. კომისიის საქმიანობის განმავლობაში განხილულ იქნა რიგი განცხადება-საჩივრები, თუმცა სამსახურთან მიმართებით რაიმე არსებითი ხასიათის საჩივარი ან პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ანგარიშვალდებულება

სამსახური, როგორც საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყება, საანგარიშო პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა საკანონმდებლო ორგანოსთან. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო როგორც პარლამენტის პლენარულ და შესაბამისი კომიტეტების, ასევე ნდობის ჯგუფის ფარგლებში გამართულ სხდომებში.

2025 წელს სამსახურის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის ფარგლებში გამართულ 6 შეხვედრასა და ნდობის ჯგუფის 5 შეხვედრაში.

2025 წლის აპრილში სამსახურმა ნდობის ჯგუფს წარუდგინა ანგარიში სამსახურის მიერ 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ასევე, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარადგინა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ.

2025 წელს სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის

პროექტისა და „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცესში, როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის ფარგლებში - საჯარო ნაწილის, ისე ნდობის ჯგუფის ფარგლებში - საიდუმლო ნაწილის განხილვაში.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მიიღო 1 სადეპუტატო შეკითხვა, რაზეც კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო რეაგირება განხორციელდა.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო დამცველთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან. 2025 წელს შესაბამისი რეაგირება განხორციელდა სახალხო დამცველის მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოგზავნილ 24 კორესპონდენციაზე და კანონმდებლობის დაცვით, მიეწოდა მოთხოვნილი, მათ შორის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, ინფორმაცია.

სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების წარმოების პროცესში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პროკურატურასთან, როგორც საგამოძიებო ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებასთან.

საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახური, კანონმდებლობის შესაბამისად, შეუფერხებლად გასცემდა როგორც ცალკეული მოქალაქეების, ისე არასამთავრობო სექტორისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 2025 წლის 10 დეკემბერს სამსახურმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს. აღნიშნული ანგარიში ასევე გადაიგზავნა სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყენებდა შიდა კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს. მათ შორის, სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვას. აღნიშნული მიმართულებით, 2025 წელს სამსახურის შესაბამისი დანაყოფი უწყვეტ რეჟიმში ახდენდა შიდა მონიტორინგს, რის შედეგადაც რაიმე სახის დარღვევა არ გამოვლენილა.

შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში, ხაზგასასმელია საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, ასევე, სამსახურის მოსამსახურეთა მიერ შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. მიმდინარეობდა სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება, ისევე როგორც სამსახურის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურ ინსპექციაში, 2025 წელს განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, შედგენილ იქნა 43 დასკვნა, რომელთა საფუძველზე მოსამსახურეებს შეეფარდათ როგორც შესაბამისი დისციპლინური სახდელები, ასევე გამოყენებულ იქნა სარეკომენდაციო ბარათები. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, თანამშრომელთა მიმართ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 2 საქმეზე.

საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის ეფექტიანობის ზრდა.

2025 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რაც გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და ანგარიშვალდებულების გაზრდას ემსახურება.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის საკომუნიკაციო არხების მეშვეობით საზოგადოებას, მედიას მიეწოდებოდა ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებისა და სამსახურის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

სტრუქტურული ქვედანაყოფი აქტიურად თანამშრომლობდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და კომპეტენციის ფარგლებში, მედიას ფაქტებზე დამყარებულ ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა გაავრცელა 100-ზე მეტი სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის, ოკუპაციასთან, ეროვნულ უსაფრთხოებასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამსახურის საქმიანობისა და მიმდინარე პროცესების შესახებ მოქალაქეების დროული ინფორმირების მიზნით 2025 წელს 23 ბრიფინგი გაიმართა.

ამასთან, განახლდა და გაუმჯობესდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ტექნიკური აღჭურვილობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო განაგრძობდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. აღნიშნულ პროცესში სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს.

2025 წელს უფლებამოსილმა საგამოძიებო ორგანოებმა სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში წარადგინეს მოსამართლის/ზედამხედველი მოსამართლის 2036 განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების, გაგრძელების, კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ, 96 დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, 22 ბრძანება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ, 68 განჩინება კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ცენტრალური ბანკიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ფარული საგამოძიებო მოქმედება შეჩერებულ იქნა 112 შემთხვევაში.

ინსპექტირების პროცედურის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დასრულდა:

- სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ვიდეომონიტორინგის გზით მონაცემთა დამუშავების კანონიერება. შემოწმების შედეგად კანონის მოთხოვნათა დარღვევა არ გამოვლენილა.
- სააგენტოს მიერ ვაკანტურ თანამდებობებზე მისაღები პირების (კანდიდატების) მონაცემების დამუშავების კანონიერება. შემოწმების შედეგად დადგენილ იქნა მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა და სააგენტოს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, დაიწყო ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შემოწმების პროცედურა.

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობა კონტროლდებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით. ამასთან, სააგენტოს საქმიანობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექვემდებარებოდა პრემიერ-მინისტრის, სასამართლოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სამსახურში შევიდა 35 განცხადება (მათ შორის მოქალაქეებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან), რომელთაგან დაკმაყოფილდა - 21, შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 4 და არ დაკმაყოფილდა 10 განცხადება.

საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეების მიერ ინფორმაციის მიწოდებისა თუ გამოთხოვის მიზნით, აქტიურად იყო გამოყენებული სამსახურში მოქმედი ცხელი ხაზი („123“) და ელექტრონული ფოსტის მისამართი (123@ssg.gov.ge). ცხელ ხაზზე შემოსული 43 746 ზარიდან საყურადღებო იყო 65 შეტყობინება, რომლებიც გადაეცა სამსახურის შესაბამის დანაყოფებს, ხოლო ელექტრონული ფოსტის აღნიშნულ მისამართზე შემოსული კორესპონდენციიდან 151 განაცხადი გადაეგზავნა ცენტრალურ კანცელარიას.

სისტემატურ რეჟიმში მუშავდებოდა სამსახურის ელექტრონული გრაფის საშუალებით (info.ssg.gov.ge) მოწოდებული ინფორმაცია. საერთო ჯამში, შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 454 ელექტრონულ განცხადებაზე. სამსახურის მხრიდან რეაგირება განხორციელდა მოქალაქეების, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველისგან მიღებულ 10612 კორესპონდენციაზე.

საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

საერთაშორისო თანამშრომლობა

2025 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააგრძელა ეფექტიანი და მჭიდრო თანამშრომლობა მეგობარ სახელმწიფოებსა და პარტნიორებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ კუთხით სამსახურის მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის ხელმძღვანელი პირები სისტემატურ რეჟიმში ცვლიდნენ ინფორმაციას უსაფრთხოების გარემოს თაობაზე, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების, მოსალოდნელი რისკების, რეგიონში განვითარებული სხვადასხვა მოვლენისა და მათთან დაკავშირებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიმდინარეობდა საერთაშორისო პარტნიორებთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა და კონკრეტულ მიმართულებებზე მჭიდრო კოორდინაცია, მათ შორის, ტერორიზმთან, კორუფციასთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოებისა და ჰიბრიდული საფრთხეების კუთხით.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების არაერთი მაღალი დონის შეხვედრა დიპლომატიური მისიების, პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი უწყებების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

მათ შორის აღსანიშნავია ბაქოს უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში გამართული შეხვედრები 10-მდე პარტნიორი ქვეყნის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან, ასევე, აზერბაიჯანის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის დელეგაციების ვიზიტები საქართველოში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მნიშვნელოვანია როგორც ექსპერტული შეხვედრებისა და ორმხრივი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში არსებული და მიმდინარე თანამშრომლობა, ისე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებისა და სამართალდაცვითი მიმართულებით ეფექტიანი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

2025 წელს, სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 40-ზე მეტ ექსპერტულ შეხვედრასა და სასწავლო კურსში. მათ შორის აღსანიშნავია:

- დაეშის წინააღმდეგ გლობალური კოალიციის ისლამური სახელმწიფოს დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის (CIFG) და ტერორისტების გადაადგილების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შეხვედრები;
- ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ორგანიზებული ღონისძიებები. კერძოდ, 2025 წლის განმავლობაში, ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს კოორდინაციით და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორების მხარდაჭერით, საქართველოს შესაბამისი უწყებების 27-მა წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო 9 საერთაშორისო შეხვედრაში. მათ შორის, ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივის ფარგლებში, გაიმართა 6 შეხვედრა და ერთი გლობალური კონფერენცია ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცულობის საკითხებზე;
- ევროპოლის კონტრტერორისტული ანალიზის პროექტ „ინტერნეტის გადამოწმების“ ყოველწლიური სამუშაო შეხვედრა;
- ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) მე-14 და მე-15 პლენარული სხდომები და უცხოელ ტერორისტ მებრძოლთა საკითხებზე ევროპის საბჭოს 24/7 თანამშრომლობის ქსელის საკონტაქტო პირების რიგით მე-7 შეხვედრა;
- ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მგზავრთა მონაცემების შესახებ აღმოსავლეთ ევროპის მე-5 არაფორმალური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
- სუამის დანაშაულთან ბრძოლის კოორდინაციის საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის, ტერორიზმთან ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფისა და კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის ონლაინსხდომები;

- ინტერპოლის ფარგლებში გამართული 3 შეხვედრა და მსოფლიო კონგრესი "ქიმიური უსაფრთხოების და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ";
- საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 1994 წელს ხელმოწერილი შეთანხმებით დაფუძნებული საქართველო-თურქეთის ერთობლივი კომისიის მე-10 შეხვედრა;
- კონტრტერორისტულ საკითხებზე გამართული ექსპერტული შეხვედრები პარტნიორი ქვეყნების 6 შესაბამისი უწყების წარმომადგენლებთან;
- ნატოს ეგიდით ჩატარებული 7 კურსი ენერგეტიკული უსაფრთხოების, არარეგულარული ომის დაზვერვით მხარდაჭერის, ქბრბ ანალიზის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, მობილური აპლიკაციების, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და კულტურული მემკვიდრეობის ექსპლუატაციის თემებზე;
- ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის მიერ მგზავრთა მონაცემების გაცვლის საკითხებზე ჩატარებული სემინარი;
- ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივის ფარგლებში ორგანიზებული რეგიონული საველე-პრაქტიკული სავარჯიშო სახელმწიფო საზღვარზე ბიო-ქიმიური საფრთხეების აღკვეთის შესახებ, რომელშიც საქართველოს ხუთმა ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა;
- ინტერპოლის ფარგლებში გამართული კურსი ტერორიზმისა და დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის თემებზე;
- გაეროს რეგიონთაშორისი სამართლის კვლევისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტის (UNICRI) კოორდინაციით მიმდინარე პროექტის "CONTACT – Black Sea" ფარგლებში ჩატარებული ღონისძიება, რომელიც რადიოაქტიური და ბირთვული მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავს მიზნად;
- აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ორგანიზებით კიბერუსაფრთხოების თემაზე გამართული ონლაინ ტრენინგი და აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით ტერორიზმის გამომწვევი ძირითადი მიზეზების თემაზე გამართული ონლაინსემინარი.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაამუშავა უსაფრთხო არხების, მათ შორის ინტერპოლისა და ევროპოლის არხების, საქართველოში აკრედიტებული მეკავშირე ოფიცრების, უსაფრთხოების, პოლიციისა და თავდაცვის ატაშეების ქსელის მეშვეობით უცხო ქვეყნების შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული თანამშრომლობის შესახებ 200-ზე მეტი მოთხოვნა.

სამსახური დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის ეტაპობრივად განვითარებას პარტნიორ სახელმწიფოებთან საიდუმლო ინფორმაციის

გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების, აგრეთვე სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმების გზით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განახორციელა შესაბამისი პროცედურები საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ 5 შეთანხმების პროექტსა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ 3 შეთანხმების პროექტზე.

2025 წლის 20 სექტემბერს ხელი მოეწერა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა სამართლებრივი და უსაფრთხოების კუთხით, შესაბამისი რეაგირება განახორციელა საერთაშორისო შეთანხმების 50-მდე პროექტზე, მათ შორის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, მსჯავრდებულ პირთა გადაცემის, ექსტრადიციის, რეადმისიის, მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების, კომუნიკაციების, საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლის, საბაჟო, უვიზო მიმოსვლისა და სხვა სფეროებში.

2025 წელს სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში ამზადებდა ინფორმაციას და ანგარიშებს საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული გაეროსა და ევროპის საბჭოს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით, ეუთოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების/რეკომენდაციების შესრულების თაობაზე და აწვდიდა მას შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ სააგენტოებს.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა დაამუშავა 20-ზე მეტი კითხვარი და ანგარიში. მათ შორის აღსანიშნავია 2025 წლის აპრილში სამსახურის მიერ 18 სახელმწიფო უწყებასთან მჭიდრო კოორდინაციით მომზადებული კომპლექსური ინფორმაცია და საქართველოს შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად გაეროს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატისთვის (CTED) მისი წარდგენა.

გარდა ამისა, 2025 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა წარადგინა შესაბამისი ინფორმაცია შემდეგი კითხვარებისა და ანგარიშებისთვის:

- შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილ ტერორისტულ დანაშაულებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციის შესამუშავებლად ევროპის საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის (CDCT) კითხვარი;
- ტერორიზმის დაფინანსების ახალი რისკებისა და ტენდენციების შესახებ ეგმონტის ჯგუფის ინფორმაციის გაცვლის სამუშაო ჯგუფის (IEWG) კითხვარი;
- 2025-2028 წლების ნატოს ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამა (ITPP);

- საქართველოს 2026 წლის წლიური ეროვნული პროგრამა (ANP);
- საქართველოსთან დაკავშირებით კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAC) შესრულების შეფასების (IRM) მე-2 ციკლის შედეგებზე მომზადებული ანგარიში;
- ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის მიერ საქართველოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული სისტემის მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშით იდენტიფიცირებული შედეგების მე-4 გაძლიერებული შემდგომი ანგარიში;
- უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ეროვნული ანგარიში.

ამასთან, სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის, ასოცირების შესახებ შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციისა და სათანადო დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია

საქართველომ წარმატებით განაგრძო 2022-2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელება. 2025 წლის 26 დეკემბერს გაიმართა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N469 დადგენილებით შექმნილი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის რიგით მეცხრე სხდომა.

კომისიის მიერ დადებითად შეფასდა სტრატეგიის განხორციელების მეოთხე წელი. ამასთან, კომისიის წევრებმა წარმოადგინეს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების სამომავლო ხედვები და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2026 წლიდან დაიწყებდნენ მუშაობას ახალი ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

2025 წლის ნოემბერში სამსახურის ორგანიზებით „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს“ მეცხრე სხდომა გაიმართა.

საბჭოს წევრებმა ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიში მოისმინეს. უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების

სააგენტოს, ევროკავშირისა და გაეროს დანაშაულისა და სამართლის კვლევის რეგიონთაშორისი ინსტიტუტის (UNICRI) წარმომადგენლები.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იყო ჩართული თანამშრომლობის ისეთ ფორმატებში, როგორებიცაა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის კომისია; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია; შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისია; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისია; საჰაერო სივრცის მუდმივმოქმედი სამოქალაქო-სამხედრო კომიტეტი; ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრი და სხვა უწყებათაშორისი მექანიზმები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყო ჩართული 2025 წლის 12-20 ნოემბერს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით დაგეგმილ ფართომასშტაბიან უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში - „დიდგორი 2025". კერძოდ, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეთაურო-საშტაბო სწავლების 12 მოსამზადებელ შეხვედრაში, ხოლო თავად სამეთაურო-საშტაბო სწავლების აღსრულების პროცესში (6 ელემენტი) ჩართული იყო სამსახურის 6 დანაყოფის 30 თანამშრომელი.

საანგარიშო პერიოდში სამსახური ასევე წარმატებით აგრძელებდა „სამართალდამცავ სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ" 2015 წლის 21 სექტემბერს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში არსებულ თანამშრომლობას მემორანდუმის ხელმომწერ სხვა უწყებებთან, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან.

მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის, მისი შემდგომი განვითარებისა და ინსტიტუციური მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრების, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის არსებობა. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით სამსახური განაგრძობდა შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებას.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრიორიტეტს წარმოადგენდა მაღალკვალიფიციური,

გამოცდილი და პროფესიონალიზმით გამორჩეული კადრების მაქსიმალურად შენარჩუნება, მათი მოტივირება და შემდგომ კარიერულ წინსვლაში ხელის შეწყობა.

საანგარიშო პერიოდში, მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იყვნენ შრომის თანაბარი პირობებით, მაღალი სამუშაო სტანდარტებით და სარგებლობდნენ სათანადო სოციალური პაკეტით. კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სხვადასხვა ფორმით წახალისებულ იქნა 317 მოსამსახურე.

პროფესიონალი კადრების უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალური რეალიზების მიზნით, სამსახურის მიერ ხორციელდება თანამშრომლებისთვის უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამების შემუშავება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათი პერიოდული გადამზადება, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით.

ამასთან, საქართველოს წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, სამსახურისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მოტივირებული და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის მოზიდვა, მათი განვითარება და უსაფრთხოების წარმატებულ მოსამსახურეებად ჩამოყალიბება.

ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა იმ პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად, რაც ხელს შეუწყობს სამსახურში საჭირო კვალიფიკაციის და შესაძლებლობების მქონე ახალი კადრების შერჩევას და მიღებას.

სასწავლო ცენტრი

2025 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სამსახურის დანაყოფებისთვის სათანადო კადრების მომზადება-გადამზადების პროცესში და უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას.

გარდა ამისა, განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში, სასწავლო ცენტრში სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაევლოთ სხვადასხვა სპეციალიზებული სასწავლო კურსი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 21 სხვადასხვა სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებში მომზადება და გადამზადება გაიარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 380-მა მოსამსახურემ.

2025 წელს, სხვადასხვა დეპარტამენტის საჭიროებებისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განახლდა ცალკეული სპეციალური მომზადების პროგრამები და სასწავლო მასალები, რამაც სწავლების პროცესი უფრო მეტად მიზნობრივი, მოქნილი და სამსახურის მოთხოვნებზე მორგებული გახადა.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა გადამზადების ახალი 3 სატრენინგო და 5 სასწავლო პროგრამა, მომზადდა შესაბამისი სასწავლო მასალები.

ახალი კადრების შერჩევის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, 2025 წელს ჩატარდა ორი ,,უსაფრთხოების სასერთიფიკატო კურსი". ჯამში, კურსებზე მონაწილეობის მსურველების მხრიდან 836 განაცხადი შემოვიდა, საიდანაც შეირჩა 125 მსმენელი.

ამასთან, 2025 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრმა უმასპინძლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 21 კურსანტს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის 60 მსმენელს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულად, სსიპ ,,სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიად", გარდაქმნის პროცესის განსახორციელებლად, სამსახურის შესაბამის დანაყოფთან კოორდინაციით, მომზადდა ცვლილებები უმაღლესი განათლებისა და სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის პროექტებში.

შემუშავდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აკადემიის სწავლების განვითარების გეგმა და სამაგისტრო პროგრამისა და სპეციალური პროფესიული მომზადებისა და გადამზდების კურსების განხორციელების კონცეფცია.

მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები

სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისა და ინსტიტუციური მდგრადობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები განაგრძობდნენ სხვადასხვა დანაყოფის სათანადო ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას.

2025 წლის საბიუჯეტო სახსრებით უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 406 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 19 569 709.19 ლარი.

2025 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადდა 154 ტენდერი, ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 131 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ეკონომიამ შეადგინა 597 269,88 ლარი.

განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა და თანამშრომელთა სამუშაო პირობები, განახლდა მოძველებული ავტოპარკი, სპეციალური ოპერაციების ძალებისთვის განხორციელდა სპეციალური ტექნიკის შესყიდვა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ქვეყნის მასშტაბით, 2025 წელს განხორციელდა 10,190,000 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა.

ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სარგებლობის უფლებით გადმოეცა უძრავი ქონება ახალციხეში, გორში, ამბროლაურში, ოზურგეთში.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების პირობების გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, სამუშაოს ინტენსივობისა და დატვირთვის შესაბამისად 2025 წელს განხორციელდა ხელფასის მატება - ჯამში 20%-ის ოდენობით.